



სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება
(ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“

Scientific magazine

“AUTHORITY AND SOCIETY

(History, Theory, Practice)“

Научный журнал “ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО
(История, Теория, Практика)“

№ 2 (22) 2012



ლია დოკლამატის ასოციაციის
სამეცნიერო ჟურნალი

*Scientific magazine of
The Open Diplomacy Association*


Научный журнал
АССОЦИАЦИИ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

EISSN 1512-4029

ჟურნალი დაარსებულია 2005 წელს საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის კათედრის მიერ

UDC 378(479.22)(051.2)

ნ. 402



სარედაქციო კოლეგია:

შოთა დოლონაძე

მთავარი რედაქტორი

ოთარ ქოჩირაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ოთარ ბადათურია

პასუხისმგებელი მდივანი

ნანა ავალიანი, რუდიგერ ანდრესენი, მეუფე აბრაამი (გარმელია), ევგენი ბარათაშვილი, გიორგი ბალათურია, ოთარ ბალათურია, რასა ბელოკაიტე, ანასტასია განიჩი, იური გორიცკი, ვახტანგ გურული, შოთა დოლონაძე, ელიუნ დრაკე, ჰარალდ ვერტცი, გენადი იაშვილი, სერჯო კამიზი, რიჩარდ მაასი, როინ მეტრეველი, იოშიკა მიცუი, ბადრი ნაკაშიძე, ლიზავეტა ჭახანინა, ბუდი ნურანი რუზანა, რამონ პიეტრო-სუარესი, გერტ სურმიულენი, ქეთი ქოქრაშვილი, ოთარ ქოჩირაძე, რუსულან ქეთათელაძე, მაია წხეიძე, ენდრიუ ლენუქს ჰარდინგი



შერნალი ხელმძღვანელობს თვისუფალი პრესის პრინციპებით.
გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებლია
ავტორი. გამოქვეყნებული მასალები გამოხატავს მხოლოდ
ავტორთა პოზიციას და შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის
შეხედულებებს.

რედაქციის მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას ქ. 77, VI კორპუსი,

I სართული, ტელ. 236-45-14,
77 Kostava st., 0175 Tbilisi, Georgia.

Tel. [+995 32] 2364514

e-mail: geoandopendip@yahoo.com

გარეკანის გაფორმება: დავით ბალათურია
შერნალის ელექტრონული ვერსია გამოქვეყნებულია ვებგვერდზე:
<http://www.odageorgia.ge/page=gamocemebi>

შერნალის რეფერირებული მასალა განთავსებულია საერთაშორისო სამეცნიერო
ელექტრონულ ბიბლიოთეკაში: <http://www.eLIBRARY.ru>

ს პ ჩ მ ვ 0

თეორია

ოთარ ქოჩორაძე, გიორგი ალადაშვილი გეოპოლიტიკური ინტერესები, როგორც თანამედროვე პოლიტიკური პროცესის ძირითადი ფაქტორი-----	5
დავით აბულაძე იდენტობის და ზნეობრივი ასპექტები ეროვნულ უსაფრთხოებაში-----	11
ოთარ ქოჩორაძე, შალვა ნატროშვილი სამოქალაქო საზოგადოება, სამოქალაქო ინტეგრაცია და ეროვნული იდენტობა-----	17
მარინა იზორია კონფლიქტები საქართველოში და მათი მოგვარების გზები---	25
მაია საათაშვილი ეროვნული კულტურა და ცნობიერება-----	36

ისტორია

Сусанна Багдасарян Столкновение традиционной праздничной крестьянской культуры юга России в 1920-е годы: столкновение идеологией-----	43
--	----

ეპონომია

გიორგი გამყრელიზე აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემა და მისი როლი თანამედროვე საფინანსო სისტემაში-----	57
---	----

საზოგადოება

ლაურა კუტუბიძე-ზუბაშვილი, ლალი მამუკაშვილი ქურნალისტიკისა და პიარის (PR) ურთიერთმიმართებისათვის-----	105
---	-----

ლელი ბიბილაშვილი ბრენდი და სტრატეგია-----	111
--	-----

პრატიკა

სოფიგო აბულაძე ეთიკის როლი ყოველდღიურ საქმიანობაში-----	117
გიზო თორდია ლიდერი და ხელისუფლების მართვის საშუალებები-----	121
თამარ მეფარიშვილი დროის მენეჯმენტი-----	127

თ ე რ ი პ

ოთარ ქოჩორაძე, გიორგი ალადაშვილი
ბერკოლიტიძერი ინფერმები, როგორც თანამედროვე
პოლიტიკური პროცესის ძირითადი ჟამშტორი

თანამედროვე პოლიტიკურ პროცესში გეოპოლიტიკური ინტერესების კვლევის ანალიზი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ, რომ გეოპოლიტიკური ინტერესების ცნება განიმარტება ფართოდ და მრავალმხრივ. იგი გამოიყენება სახელმწიფოთა პოლიტიკური პოზიციების განხილვისას, საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში მათი ადგილის შეფასებაში, გამოდის რა ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო-სტრატეგიული, სარესურსო და სხვა საკითხების კომპლექსის განხილვაში, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სრულიად მსოფლიოსა თუ რეგიონალურ ძალთა შენარჩუნებასა თუ ცვლილებაში, საერთაშორისო, ეროვნულ და რეგიონულ უსაფრთხოებაში.

მსოფლიოს ამჟამინდელი და პერსპექტიული გეოპოლიტიკური სტრუქტურისა და მისი შინაარსის ანალიზისას, ასევე სახელმწიფოებისა და მათი დაჯგუფებების გეოპოლიტიკური ინტერესების შეფასებისას, საჭიროა თანამედროვე პოლიტიკური პროცესის განვითარების ახალი ფაქტორების გათვალისწინება, როგორიცაა: ეკონომიკური ფაქტორები, რომელთა გავლენაც პლანეტაზე გეოპოლიტიკური სიტუაციის ევოლუციაზე გაზრდილია და ეს დაკავშირებულია ეკონომიკის როლის ნახტომისებრ გაზრდასთან, როგორც ცალქეული ქვეყნებისთვის, ასევე მთელი მსოფლიო საზოგადოებისთვის, ეკონომიკური პროცესების მნიშვნელოვან შიდა გართულებებთან და რეალურ გლობალიზაციასთან. დღეს მდგომარეობა სამხედრო სფეროში საბოლოოდ ახდენს კლასიკური გეოგრაფიული პოლიტიკის ერთ-ერთი საბაზო თეზისის – „გარე ნახევარმთვარის“ (ჩრდილოეთ ატლანტიკის) და „დერძული რეგიონის“ ან „პარტლენდის“ ძირითად სახელმწიფოთა უვნებლობა – დისკურსიური ირებას. ახლა ისინი ხელმისაწვდომია არა მხოლოდ ერთმანეთისთვის (თანაც როგორც ბირთვული, ასევე ჩვეულებრივი იარაღით), არამედ პერიფერიული სახელმწიფოთვისაც.

ც. რატცელმა, რ. ჩელენმა, ა. მეხენმა, ხ. მაკინდერმა, ქ. ჰაუსმონმა – ყველაზე ცნობილმა კლასიკოსმა გეოპოლიტიკოსებმა, შემოგთავაზეს სახელმწიფოს ინტერესების განხილვა, როგორც

შეგნებული მოთხოვნილება თვითშენარჩუნებისთვის, გადარჩენისათვის, განვითარებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. ამასთან, როგორც ისინი თვლიდნენ, სახელმწიფოს უსაფრთხოება წარმოადგენს დომინირებულ გეოპოლიტიკურ ინტერესს წინააღმდეგობის, მეტოქეობის, ომების, ძალადობის პირობებში. ძალადობა კი გამოიდის, როგორც სახელმწიფოს დაცვის, თვითშენარჩუნების, უსაფრთხოების რეაქცია. [4]

კარლ შმიტმა, გერმანული კლასიკური გეოპოლიტიკისა და პოლიტოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ერთ-ერთმა პირველმა დააყენა ინტერესების როლის საკითხი გეოპოლიტიკაში. გეოპოლიტიკური სივრცის განხილვისას იგი ხაზგასმით გამოყოფდა გეოპოლიტიკური ინტერესების, როგორც იმ ფაქტორის მნიშვნელობას, რომელიც განამტკიცებს ან პირიქით, ძირს უთხრის კონკრეტულ ერთიან გეოპოლიტიკურ სივრცეს.[5]

ამ იდეის განვითარება ადგილი აქვს მორო დე ფარუს ნაშრომში “შესავალი გეოპოლიტიკაში”, სადაც გახსნილია გეოპოლიტიკური ინტერესების როლი და მნიშვნელობა გეოპოლიტიკური ცნობიერების ფორმირების პროცესში.[6]

განვიხილავთ რა ინტერესების შინაარსს, შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკურ პროცესში ყველაზე მთავარს წარმოადგენს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები. თანამედროვე სინამდვილე და XX საუკუნის დასასრულისა და XXI საუკუნის დასაწყისის მსოფლიო განვითარების თავისებურებები დაუინებით ითხოვს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების ცნების დაზუსტებასა და განახლებას.

თანამედროვე მსოფლიოში გაძლიერდა მსოფლიო რელიგიების გავლენის აქტუალიზაცია, პირველ რიგში კი ისლამისა. მოცემული ვითარება არა მხოლოდ სოციალური და გეოპოლიტიკური ფენომენია. მას შეუძლია წალეპოს ან შეცვალოს ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების გეოპოლიტიკური საზღვრები ან ორიენტაცია. საბოლოო არჩევანისას რელიგიური სიახლოეს შეიძლება არც გახდეს გადამწყვები გარემოება, მაგრამ, ძლიერი კულტურულისტორიული ტრადიციების პირობებში, მას მაინც საკმაო მნიშვნელობა ექნება.

სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესები, როგორც წესი, პრაგმატული მაინც არის, თუ არა ეგოისტური. ერთს გადარჩენისა და უსაფრთხოების ინტერესებისთვის ბრძოლაში მიზნები მიიღწევა ძალადობით, სისხლისძვრით, ომით, საკუთარი უსაფრთხოების დაცვის საშუალებათა სრულყოფით. სახელმწიფოს უსაფრთხოება გამოიდის, როგორც დომინირებული გეოპოლიტიკური ინტერესი. ეროვნული უსაფრთხოება წარმოადგენს სახელმწიფოს ეროვნული ინტერესის

ერთ-ერთ ელექტრონურ მას, სხვა ელექტრონური მოწყობა (შიდა სტაბილურობა, ეკონომიკური განვითარება, საზოგადოების მორალური სიჯანსაღე, კეთილსაიმედო გარემოცვა, პოზიტიური საერთაშორისო იმიჯი) ერთად უზრუნველყოფს ოპტიმალური არსებობით.

საერთაშორისო უსაფრთხოება – ეს არის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება მათი თანამშრომლობით მშეიდობის შენარჩუნების მიზნით, ომის საფრთხის თავიდან აცილების, სახელმწიფოებისა და ხალხების არსებობის, დამოუკიდებელი განვითარებისა და სუვერენიტეტის სხვა სახის სელფოფისგან დაცვით.

საერთაშორისო საზოგადოების შემადგენელ სახელმწიფოებსა და საზოგადოებებს შორის ურთიერთობა მდგრადი გაციის ფონზე ჩნდება მდგრადი ტენდენციები სტრუქტურათა ინტეგრირებისა, რომლებიც ასრულებენ საერთაშორისო ფუნქციებს, გლობალიზაციის პროცესების განვითარებას. გლობალიზაცია – ესაა პროცესი, რომლის დროსაც სოციალური აქტივობის უმტკიცების ნაწილი მსოფლიო ხასიათს იქნება, რომელშიც გეოგრაფიული ფაქტორი კარგავს თავის მნიშვნელობას და ხდება უმნიშვნელო ტრანსსასაზღვრო ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციელურული ურთიერთობების დამყარებასა თუ მხარდაჭერაში.

ჩვენი ცივილიზაციის განვითარებაში, ალბათ, არის ხალხებისა და ქვეყნების დაახლოების ტენდენცია. შესაძლოა ეს ტენდენცია წარმოადგენს გლობალიზაციის საერთაშორისო პროცესის საფუძველს. მისთვის დამახასიათებელია ურთიერთობები და თანამშრომლობა ეკონომიკაში, კულტურაში და სხვა სფეროებში. ამ პირობებში დიდ მნიშვნელობას იქნება ცოდნა და განათლება, წინსვლა ცოდნის საშუალებით. ამავდროულად ხალხებმა და სახელმწიფოებმა უნდა შეინარჩუნონ თვითმყოფადობა, არა და სამყარო გადაიქცევა დიდ სოფლად.[3]

თუმცა თანამედროვე პოლიტიკური პროცესი საფუძველს გვაძლევს ჩავთვალოთ, რომ ანტიგლობალიზმის პროცესები ასევე ვითარდება თანამედროვე მსოფლიოში და მის გავლენას განსაზღვრავს თანამედროვე მსოფლიოს სახე და უსაფრთხოება. რიგ მეცნიერთა (ს. ჰანგინგტონი და სხვ.) შეფასებების მიხედვით, გეოპოლიტიკური ინტერესების შეხლა-შემოხლა რეალიზდება, როგორც ცივილიზაციათა შეჯახება. კაცობრიობის გამყოფი უმთავრესი საზღვრები და კონფლიქტების წყაროების უმრავლესობა განისაზღვრება კულტურით. ერთი – სახელმწიფო დარჩება მთავარ მოქმედ პირად საერთაშორისო საქმეებში, მაგრამ გლობალური პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი კონფლიქტები განვითარდება იმ

ერებსა და ჯგუფებს შორის, რომლებიც მიეკუთვნებიან სხვადასხვა ციფილიზაციებს. ციფილიზაციათა შეჯახება გახდება მსოფლიო პოლიტიკის დომინირებული ფაქტორი.

თანამედროვე პოლიტიკური პროცესის ანალიზი გვაჩვენებს რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეროვნული გეოპოლიტიკური ინტერესები დაკავშირებულია ეროვნულ ფასეულობათა შენახვასთან, გამრავლებასა და დაცვასთან. მათი დევალვაცია და დაბარგვა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ხალხის უსაფრთხოებასა და თვით არსებობასაც კი. ასეთ გეოპოლიტიკურ ინტერესებს შეიძლება მივაკუთვნოთ სუვერენიტეტი, სახელმწიფო და ტერიტორიული მთლიანობა, თავდაცვისა და უსაფრთხოების უფლებური სისტემა, აგრესიის არეკვლა, ომების თავიდან აცილება.

არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ გლობალიზაციამ შეიძლება მოახდინოს ეროვნულის ნიველირება: ენის, წეს-ჩვეულებების, ტრადიციების, კულტურის და ისტორიის. უკლავერი ეს წარმოადგენს ხალხის ეროვნულ მონაპოვარს. ერი და ეროვნულობა არის ადამიანთა მოდგმის გარჩევის უფლის მიერ ბოძებული კეთილი და უმტკივნეულო ფორმა.

არავის არა აქვს უფლება ხელშეყოს ხალხის საკუთრება, მისი თვითმყოფადობა და ეროვნული ცხოვრების წესი. ეს ფასეულობები იქმნებოდა საუკუნეების განმავლობაში.

გეოპოლიტიკური ცნობიერება, ანუ სივრცის, როგორც სიძლიერის გამოვლენის სფეროს შემეცნება, უპირველეს ყოვლისა სამთავრობო წრეებს მოეთხოვება.

გეოპოლიტიკური სფეროს სიღრმისეული შემეცნება თავისუფალი უნდა იყოს პარტიული წინასწარშექმნილი აზრისაგან, ერთნაირად მართებული როგორც უკიდურესი მემარცხენებისათვის ასევე უკიდურესი მემარჯვენებისათვის, რათა ნებისმიერმა, რომელიც ფლობს აუცილებელ გამოცდილებასა და გეოპოლიტიკურ ცოდნას, განახორციელოს სახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა, პოლიტიკური შეხედულებებისა და პარტიული პუთნილების მიუხედავად...[4]

ხელისუფლების ვალდებულებას წარმოადგენს დაიცვას ხალხის მატერიალური და სულიერი ფასეულობები ნებისმიერი ხელყოფის მცდელობისაგან, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს საფრთხე, შეგნიდან თუ გარედან.

ერი და ეროვნულობა წარმოადგენს ნებისმიერი ეთნოსის არსებობის ფიზიკურ და სულიერ საფუძველს. ადამიანს, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს, ახსოვს და უყვარს თავისი ერი, რწმენა და

მამული. პატივს მიაგებს წინაპრებს. წინადადმდევ შემთვევაში იგი არის “ადამიანი არსაიდან”, ჯიშისა და ჯილაგის გარეშე.

უოგელივე ეროვნულისადმი ფაქტი დამოკიდებულება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს რაიმე კარჩაპეტილობას ან შეზღუდულობას. პირიქით, რაც უფრო ძლიერია ხალხის ეროვნული ფესვები, მთ უფრო მაღალია მისი ინტერნაციონალური პოტენციალი. ეს არის – საერთაშორისო კაგშირები, თანამშრომლობა, ერთობლივი პროექტები, პარტნიორობა, ურთიერთობახმარება. [3]

ადგილობრივი პოლიტიკური ინტერესი ზოგჯერ დამატებითი გეოპოლიტიკური ფაქტორი ხდება. მაგრამ ის ხშირად არის პროვოცირებული ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, ბუნებრივ-კლიმატური და სხვა პირველადი პირობების განვითარებით. ეს ყველაფერი საშუალებას იძლევა, რეგიონის განვითარების გეოპოლიტიკური ფაქტორების სფეროში გამოვყოთ როგორც რეგიონების განვითარების მნიშვნელოვანი ზემოაღნიშნული პირველადი, ასევე მეორადი ფაქტორები.

გეოპოლიტიკური მახასიათებლების ცვალებადობის პირობებში, ყოველთვის რჩება ტერიტორიული მიზეზები, რომლებიც განსაზღვრავს რეგიონის „გეოგრაფიას“. გეოპოლიტიკური პროგრამებისა და პროექტების დახმარებით შესაძლებელი ინტეგრირებას ძალიან ხშირად მიყვავართ ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული განზომილებების დამთხვევასთან. ეს ამტკიცებს გეოპოლიტიკურ და რეგიონალურ კანონზომიერებათა საერთო ველის არსებობას.

ლიტერატურა

References:

1. baraTaSvili n. globalizaciis Tanamedrove tendenciebi da axali msoflio wesrigi, Tb. 2006 w..
2. hanTingtoni s., civilizaciaTa Sejaxeba., Tb., 1997.
3. rexviaSvili i., qoCoraZe o. zogi ram demokratiaze. Ria diplomatiis asociaciis samecniero Jurnali „xelisufleba da sazogadoeba“, istoria, Teoria, praqtika., #3 (19), 2011, gv. 5-33.
4. qoCoraZe o., geopolitikis safuZvlebi. Tbilisis Tavisufali universitetis ESM biznessis skola. NPG gamomcemloba. 2009, - 465 gverdi.
5. С. Хантингтон, Кто мы? Вызовы американской национальной идентичности.. –М 2004;
6. Шмит К. Понятие политического//Вопросы социологии.-Т.1.-М., 1992.
7. Моро-Дефарж Ф. Введение в геополитику. - М., 1996.

8. Белашов И.В; диссертация „Геополитические интересы в структуре современного политического процесса” Ставрополь – 2004.
9. saqarTvelos sagareo saqmeTa saministros veb-gverdi: www.mfa.gov.ge
29.11.12
10. grigolia T. globalizaciis gavlena msoflio politikasa da ekonomikaze. Ria diplomatiis asociaciis samecniero Jurnal „xelisufleba da sazogadoeba“, istoria, Teoria, praqtika,. #3 (19), 2011, gv. 54-60.

Otar Kochoradze, Giorgi Aladashvili

Geopolitical interests as a major factor in the modern political process

Summary

One of the main and most characteristic manifestations of geopolitical interests in the modern process is the expansion. Most of the works on geopolitics revolves around the expansion of an other species, although the phenomenon itself - and especially its current content and form - not subjected to serious consideration. Legitimate is to understand the geopolitical interests of both expressions of interest related to the objectives of domination, hegemony, expansion, and the protection and strengthening security.

Keywords: Geostrategic, geopolitical interests, modern political process, political globalization.

Отар Кочорадзе, Георгий Аладашвили

Геополитические интересы как главный фактор современного политического процесса

Резюме

Одним из главных и наиболее характерных проявлений геополитических интересов в современном геополитическом процессе является экспансия. Большинство работ по геополитике вращается вокруг экспансии того или иного вида, хотя само явление - и особенно его нынешнее содержание и формы - недостаточно подвергалось серьезному рассмотрению. Правомерным является понимание геополитических интересов как выражения группы интересов, связанных с целями доминирования, гегемонии, экспансии, а также защиты от них и укрепления безопасности.

Ключевые слова: Геостратегия, геополитические интересы, современные политические процессы, политическая глобализация.

დაგით აპულაძე იღენტობის და ზეობრივი ასამშები მროვნულ უსაფრთხოებაში

საქართველოს სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოება ყოველთვის აქტუალური იყო საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე. ბუნებრივია, სახელმწიფოს ეროვნილი უსაფრთხოება არც დღეს არ კარგას თავის აქტუალობას, მთელებელს მაშინ, როდესაც სახელმწიფო ტერიტორიის 20% ოკუპირებულია აგრესორი მეზობელი სახელმწიფოს მიერ.

ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა გარკვეული დაღი დასასვა საქართველოს პოლიტიკურ მდგრმარეობას. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სახელმწიფოში დღის წესრიგში დაგდა ფუნდამეტური ცვლილებების და რეფორმების გატარების აუცილებლობა, გამოვლინდა სახელმწიფო უსაფრთხოების სუსტი მხარეები, შესაბამისად შევიდა ცვლილებები საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში, დაიწყო თავდაცვის სისტემაში არსებული ხარჯების გამოვლენა და გამოსახურებლად გეგმაზომიერი ღონისძიებების გატარება, რაც თავისთავად მისასალმებელი ფაქტია, თუმცა სახელმწიფო ინსტიტუტები, სამეცნიერო წრეები თავს არიდებენ ეროვნული უსაფრთხოების ცნების ახლებერ სისტემურ გააზრებას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

ეროვნული უსაფრთხოება ფართო ცნებაა და მოიცავს უამრავ პრობლემატურ საკითხს, აქედან გამომდინარე, ეროვნული უსაფრთხოება არ უნდა იყოს გაგებული ვიწრო გაგებით და აქცენტი მხოლოდ გარეგნულ ნიშნებზე არ უნდა კეთდებოდეს, ეროვნული უსაფრთხოება ეს არის სახელმწიფოს ან ერის უნარი უზრუნველყოს საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნება და დაცვა უკველბარი შიდა და გარე საფრთხეების პირობებში.

სახელმწიფოს თვითმყოფადობაში იგულისხმება, როგორც სახელმწიფო სუვერენიტეტი, ასევე ერის იდენტობა, ამიტომაც აუცილებელია თითოეულ მოქმედ საფრთხეზე გაკეთდეს დეტალური, მეცნიერული ანალიზი, ხოლო შემდგომ მოხდეს შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, კონკრეტული ღონისძიებების სახით, რაც რეალურად აამაღლებს სახელმწიფოს უსაფრთხოების ხარისხს და შეამცირებს აქტუალურ პრობლემათა ჩამონათვალს.

წვენი მიზანია აქტუალური გახდეს იდენტობისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ მოქმედი საფრთხეების ობიექტური ანალიზი, ვინაიდან

ჩვენს სახელმწიფო მუშავდება სტრატეგიები, იქმნება გეგმები, იწერება სამეცნიერო ნაშრომები, არსებობს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, მაგრამ რატომდაც თავს არიდებენ ეროვნული უსოფრთხოების უნარის განვითარებაზე საუბარს, ერთს იდენტობისა და იდენტობის წინაშე მდგომი საფრთხეების ანალიზს, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია XXI საუკუნის საქართველოში.

საკუთარი ერთს იდენტობის დაცვა და ეროვნული უსაფრთხოების უნარის განვითარების გზების დასახვა ოდნავადაც არ აკინძებს დემოკრატიულ ფასეულობებს და ნამდვილ ლიბერალიზმს, არც ნაცისტურ თეორიებთან არ არის რამე კავშირში, პირიქით, ერთს იდენტობის წინაშე მდგომი საფრთხეები უშუალო კავშირშია საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტის წინაშე არსებულ საფრთხეებთან.

ქართველი ერთს იდენტობის წინააღმდეგ მოქმედი საფრთხეები რეალურად საშიშია, რადგან ამ ეტაპზე აღნიშნულ საფრთხეებს, სამწუხაოდ, არ უქცევა სათანადო ყურადღება არც სახელმწიფო ინსტიტუტების, არც მეცნიერული წრების და არც სასკოლო და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებების მხრიდან. ერთადერთი ინსტიტუტი, რომელიც აღნიშნულ საფრთხეებზე აკეთებს აქცენტს ეს არის საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებული ეკლესია, რომელმაც ისტორიულად უდიდესი როლი ითამაშა საქართველოს სახელმწიფოებრიობის და ქართველი ერთს იდენტობის შესანარჩუნებლად. ამ როლს საქართველოს კონსტიტუციაც აღიარებს (მუხლი მე-9).

ეკლესიის როლი ზნეობრივი ფონის ამაღლების საქმეში ისტორიულად და ტრადიციულად განსაკუთრებული იყო, საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია ერთს ცნობიერების ამაღლების, გაერთიანების და სახელმწიფო დამოუკიდებლობის განმტკიცების არა მხოლოდ სიმბოლო, არამედ რეალურ და ქმედით ორგანიზმად გვევლინებოდა.

ამჯაմად, საქართველოს ეკლესიის ადდებენა გაძლიერების პროცესი საქმაოდ აქტიურად და ეფექტურანად მიმდინარეობს, თუმცა საჭიროა ეკლესიის მსახურთა უფრო მეტი სიფხოზლე და მონდომება, რათა პირადი მაგალითის მიცემით, ცხოვრების წესით და მადლმოსილი მსახურებით ხელი შეუწყონ ერთს გაერთიანების, გაძლიერების, ზნეობრივი დახვეწის პროცესს. ამასთან აუცილებელია ეკლესიის მრევლის რეალური ფერისცვალება, რათა დანარჩენი საქართველოსათვის წარმოადგენდნენ თვალსაჩინო მაგალითს.

ვითარება, რომელიც იდენტობის წინააღმდეგ არსებული საფრთხეებიდან მოდინარეობს იმდენად საგანგაშოა, რომ უკვე რეალურად

ემუქრება საქართველოს სახელმწიფო ბრიობას და დამოუკიდებლობას. აღნიშნული ისევ და ისევ საქართველოს გეოგრაფიული, სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარეობს, თუ ქართველ ერში იდენტობა წაიშლება მაშინ საზოგადოებაში მოკვდება ის მუხტი, რომელიც ხალხს დამოუკიდებული სახელმწიფოს არსებობას კარისხობს.

ერის იდენტობის წაშლა, პირდაპირ აისახება სახელმწიფოს თვითმყოფადობის დაკარგვით, რადგან საქართველო, როგორც ტერიტორიულად, ასევე სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ოვალსაზრისით წარმოადგენს მცირე სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიებზე თვალი უჭირავს ყველა მეზობელ სახელმწიფოს და ასევე საერთაშორისო მაშტაბით ჰეგემონობაზე პრეტენზიის მქონე მზარდ სახელმწიფოებს.

საქართველოს ისტორიის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დამოუკიდებლობა დაკარგულ საქართველოში ყველა დამპყრობელი ცდილობდა დარტყმა მიეკუნებინა ერის იდენტობაზე, როგორც ერთიანი საქართველოს შემაკვრივებელ ფენომენზე და ამისთვის ბევრ სხვა მეთოდებით ერთად კუთხეურ დაპირისპირებასაც იყენებდა, ხშირ შემთხვევაში საკმარის წარმატებულად.

იდენტობის წინააღმდეგ მოქმედი საფრთხეებიდან ყველაზე საშიში პროცესებია: ზნეობრივი გახრწნა; იდეოლოგიური მანიპულირება; ტრადი-ციული დირექტულებების და ცხოვრების წესის ჩანაცვლება ფსევდო კულტურული დირექტულებებით.

ზნეობა ეს არის ადამიანის შინაგანი სინდისის ხმა, შინაგანი კანონი, რომელიც კარისხობს ადამიანს თუ როგორ მოიქცეს ზოგადად და კონკრეტულ სიტუაციაში, ისე, რომ არ შეებდალოს პიროვნული დირსება და მაქსიმალურად გაითვალისწინოს სხვა ადამიანების ინტერესები.

ზნეობა მოქმედებს, იქ, სადაც არ არის დაწერილი სამართალი, ზნეობა აღწევს იქ, სადაც ვერ აღწევს კანონმდებლობა, ზნეობა ადამიანურ ურთიერთობათა გაცილებით ფართო საკმარის არეგულირებს, ვიდრე კანონი, ზნეობა აღძრავს ადამიანს საზოგადო ნაყოფიერი დვაწლისთვის. კანონი მოუწოდებს სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებების შესრულებისაკენ. ის, რაც ადამიანის შინაგანი ინიციატივით აქთდება, ბევრად შემოქმედებითი, უფასებრური და ლირებულია, ვიდრე კანონის დარღვევის შიშით გამოწვეული ქმედება, თუ უმოქმედობა. ზნეობა აყალიბებს ადამიანს პიროვნებად, კანონი ვერა.

კანონის შექმნას, მოქმედებას და აღსრულებას სახელმწიფოს მირთადი ფინანსები და სტრუქტურები სტირდება, ზნეობა ყოველ ადამიანს უსასყიდლოდ ეძლევა, ზნეობის მოქმედება და აღსრულება

უდანახარჯოდ მიმდინარეობს. ზნეობას მხოლოდ განვითარება სჭირდება, განვითარებას კი საზოგადოებრივი, სახელმწიფო და საოჯახო ხელსაყრელი გარემო.

კანონი აუცილებელია, ზნეობა უპირატესად აუცილებელი. ზნეობრივ საზოგადოებაში კანონიც ეფუძნება მოქმედებს, უზნეო საზოგადოებისთვის კანონი საძულველი ზედმეტობაა, ამიტომაც ხშირად ირღვევა. სადაც კანონი ხშირად ირღვევა, ის სახელმწიფო სწრაფად უძლეურდება, უძლეური სახელმწიფო კი ძლიერი სახელმწიფოს მსხვერპლი ხდება, ეს უკვე ბუნებრივი გადარჩევის კანონია.

აქედან გამომდინარე, ოჯახის, საზოგადოების და სახელმწიფოს უმთავრესი საზრუნავი უნდა იყოს ზნეობრივი საზოგადოების შექმნა.

განსაკუთრებული როლი ზნეობის განვითარებაში ეკისრება ოჯახს და ეკლესიას. ოჯახის როლი განისაზღვრება ტრადიციული, ქართული, მართლმადიდებლური ცხოვრების წესის ადდგენით და დამკვიდრებით, რაც შეიძლება გამოიხატოს მშობლების მხრიდან პირადი ზნეობრივი, ქრისტიანული ცხოვრების მაგალითის ჩვენებით შვილებისადმი.

ზნეობრივად მდგრადი საზოგადოება არის ფუნდამენტი და გარანტი ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერი სახელმწიფოს არსებობისა.

დასკვინის სახით, უნდა ადინიშნოს, რომ ერის იდენტობა და ზნეობრივი მდგომარეობა გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფო სუვერენიტეტის შენარჩუნების, სახელმწიფოს არსებობის და განვითარების თვალსაზრისით, ამიტომაც ყოველი წვენთაგანის ვალია ვიმოქმედოთ სახელმწიფოში ზნეობის და იდენტობის განვითარებისათვის.

მხოლოდ მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე და ზნეობრივად მდგრადი საზოგადოება არის დაინტერესებული სახელმწიფოს უსაფრთხოებით, მართლწესრიგის დაცვით და სახელმწიფო ინსტიტუტების მხარდაჭერით.

ლიტერატურა

References:

1. saqarTvelos konstitucia. Tbilisi 2012
2. saqarTvelos erovnuli usafriTxoebis koncefcia. Tb. 2012
3. WavWavaZe ilia, Txzulebani. Tb. 1984
4. vaJa-fSavela, Txzulebani. Tb. 1985
5. Rvinjilia j. suli aRmaSenebeli. Tb. 1985
6. SubiTZe vaJa, qoCoraZe oTari, politologija. Tb. 2001
7. saqarTvelos istoria II, III, IV tomebi. Tb. 2012

8. axali aRTqma. Tb. 2010
9. sruliad saqrTvelos kaTalikos-patriarqi ilia II. epistoleebi. Tb. 2007-2012

David Abuladze

Aspects of identity and morality in National Security

Summary

National security of the Georgian state was always actual over the whole period of the Georgian history. Naturally, the national security of the state did not lose its actuality even today, when 20% of its territory is occupied by the aggressor - neighbor state.

Events developed in the latest period and acceleration of the world geo-political processes had certain impact on the Georgian political situation, after the August war of 2008 the state agenda became the necessity to hold fundamental changes and reforms, weak sides of the state security were shown up, accordingly changes were made to the concept of the national security of the Georgian state, shown up were the lapses of the security system and held were the regular measurements; this of course is the fact to be welcomed, however, the state institutions, scientific circles avoid to show their systematic opinion on the innovative notion of the national security and conduct the proper measurements.

The national security must not be understood in its narrow notion and accented only on the surface signs, the national security is a skill to maintain the distinctiveness and provide the security under the terms of domestic and foreign threats.

Under the state distinctiveness we mean the state sovereignty as well as the national identity, thus it is necessary to make the detailed, scientific analyses of each threat affecting the security, and only after that work out the proper state policy as a concrete measurement, which would really increase the state security level and quality and decrease the list of actual problems.

In the Georgian state worked out are strategies, plans, scientific works are being written, there is a national security concept, but somehow they avoid to speak about the national security possibility development, they do not pay any attention for such significant issues, as are the national identity and analyses of threats facing the identity, this is very important in Georgia of the XXI century.

Protection of the national identity and the setting the ways to develop the national security possibilities do not impede the democracy values and the real liberalism and the Nazi theories are not connected with it at all, on the contrary, the threats before the national identity are in the direct connection with the threats facing

the national security of the Georgian state. This is the very connection and the role of moral and identity in the national security that we speak about in the present work.

Keywords: identity, morality, sovereignty, national security

Reviewer: Professor Otar kochoradze, Georgian Technical University

Давид Абуладзе

Аспекты идентичности и нравственности в национальной безопасности

Резюме

Национальная безопасность грузинского государства была всегда актуальна в течение всего периода грузинской истории.. Естественно, что национальная безопасность государства, не теряет своей актуальности даже сегодня, когда 20% ее территории занимает агрессор - соседнее государство.

После августовской войны 2008 года на повестку дня стал вопрос о необходимости проведения кардинальных изменений и реформ, были выявлены слабые стороны системы государственной безопасности, соответственно, были внесены изменения в концепцию национальной безопасности грузинского государства.

Чтобы в дальнейшем избежать подобных провалов необходимо новое инновационное осмысление понятия национальной безопасности и проведение надлежащих мероприятий.

Национальную безопасность, не следует понимать в узком смысле и акцентировать внимание только на поверхностные признаки, основной сутью национальной безопасности является умение сохранить национальную самобытность и идентичность в условиях внешних и внутренних угроз.

Ключевые слова: идентичность, нравственность, суверенитет, национальная безопасность

Рецензент: Профессор Отар Кочорадзе. Грузинский технический университет.

**ოთარ ქოჩორაძე, შალვა ნატორშვილი
სამოქალაქო საზოგადოება, სამოქალაქო ინფებრაცია და
ეროვნული იღვნეული**

2011 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ ეროვნული უსაფრთხოების ახალ კონცეფციაში სამოქალაქო ინტეგრაციის, ეროვნული და კულტურული ოვითმყოფადობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ საქართველოს პრიორიტეტია კულტურული მრავალფეროვნებისა და ეროვნული ოვითმყოფაბის შენარჩუნება და განვითარება. მისთვის მნიშვნელოვანია, ხელი შეუწყოს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ინტეგრაციას და ქვეყნის აღმშენებლობაში ჩართვას. საქართველო ქმნის პირობებს ამ ჯგუფების იდენტობისა და კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის [1].

საუბარია იმ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკური პროცესზე, რომლის მიზანია ცალკეულ ჯგუფთა ოვითიდენტიფიკაციის ერთიან საზოგადოებრივ და კულტურულ ჩარჩოებში მოქცევა [2]. ეს არის ნებავოფლობითი კომუნიკაციის პროცესი, დაფუძნებული თანამონაწილეობაზე, რომლის დროსაც არ არსებობს „აქტიური გადამცემი“ და „პასიური მიმღები“, თითოეული მხარე/მონაწილე სრულფასოვნედ არის ჩართული კომუნიკაციის პროცესში [3].

ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაცია გულისხმობს ეროვნულ (ეთნიკურ) უმცირესობათა აქტიურ და ეფექტურ ჩართვა-მონაწილეობას ქვეყნის ცხოვრებაში. ამ სფეროში პოლიტიკის გატარების პირობაა სოციალური სუბიექტის ფორმირება განვითარებული სამოქალაქო ოვითშეგნებით, რომელიც მიუხედავად მისი ეთნიკური წარმომავლობისა ევექტურად და თავისუფლად მიიღებს მონაწილეობას ქვეყნის ცხოვრებაში, ქვეყნის მართვაში, მატერიალური და კულტურული ფასეულობების შექმნაში [4].

სამოქალაქო ოვითშეგნება, როგორც ღირებულება გულისხმობს პიროვნებისაოვის საკუთარი ქვეყნის ერთიან მთლიანობად აღქმას და ამ მთლიანობის დაცვის ვალდებულებას; იგი ასევე გულისხმობს მოსახლეობის ყოველი ჯგუფის მიერ საკუთარი თავის მიკუთვნებას

ქვეყნისადმი, როგორც ერთიანი მთლიანისადმი; სახელმწიფოებრიობის ღირებულების გათავისება ნიშნავს, რომ პიროვნება საკუთარ ბედს უკავშირებს ქვეყნის ბედს, ითავისებს ქვეყნის კულტურას, მის ისტორიას და მომავალს – ხდება ქვეყნის მოქალაქე.

ეროვნული უსაფრთხოების ახალ კონცეფციაში დაფიქსირებული არის ეროვნული ერთიანობისა და სამოქალაქო თანხმობის განმტკიცება: საქართველო უზრუნველყოფს თავისი მოქალაქეების ინტერესების, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. ამისათვის იგი ხელს უწყობს ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელიც ეფუძნება კანონის წინაშე თანასწორობის, პლურალიზმის, შემწენარებლობის, სამართლიანობის, ადამიანის უფლებებისა და, რასის, ენის, სქესის, რელიგიის, რაიმე ჯგუფისადმი კუთვნილების, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების განურჩევლად, ადამიანთა თანასწორობის პრინციპებს. სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია მრავალეთნიური და მრავალკონფესიური ქართველი ერის წარმომადგენლების თანაბარი ჩართულობა ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში [1]. ეს კი ვაქტიურად ნიშნავს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესისათვის ბიძგის მიცემას.

სამოქალაქო საზოგადოების ცნება ახლოს დგას ლიბერალური სახელმწიფოს ცნებასთან, რომელიც „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ ანუ ადამიანთა ნებაყოფლობითი შეთანხმების პრინციპზეა აგებული. დღეს ეს ტერმინი ამ გაგებით ადარ იხმარება, მაგრამ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ის იმთავითვე დაუკავშირდა ლიბერალურ მსოფლმხედველობას და ეს კავშირი არასოდეს დაუკარგავს. ლიბერალური მსოფლმხედველობის ძირითადი არსი კი ისაა, რომ ადამიანთა ნებისმიერი გაერთიანება (მათ შორის სახელმწიფო) იმდენადა კანონიერი, რამდენადაც ის ნებაყოფლობითია - ანუ თვით ადამიანთა სურვილს ემყარება. სამოქალაქო საზოგადოების ზოგადი პრინციპიც ადამიანთა ნებაყოფლობითი გაერთიანებაა [5].

წვენი აზრით, ყველაზე მართებული იქნება სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნული იდენტობის პრობლემის ფილოსოფიური გაზოგადება, ვინაიდან ფილოსოფიური განხილვა ყველაზე ზოგადია. იგი არ ეხება კერძო გამოვლინებებს და მძლავრი სემანტიკური ველის წყალობით საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ ის აბსტრაქციის მაღალ დონეზე, გვერდი ავუაროთ კერძო განსაზღვრებებსა და ცნებებს.

თანამედროვე პირობებში იდენტურობა წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემას, რომელსაც გააჩნია

როგორც სამეცნიერო, ისე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს შემდეგი მოსაზრებები აღნიშნული საკითხის შესახებ:

“პიროვნების შესწავლის მეცნიერებაში პიროვნების არსებითი, განუყოფელი და ძირითადი მეობა; ინდივიდის შინაგანი, საკუთარი თავის შესახებ შემუშავებული სუბიექტური კონცეფცია; საკუთარი თავის იგივეობის განცდა; ტერმინი გამოიყენება მიერთვნებულობის გამოსახატვად ნებისმიერი ტიპის ჯგუფის მიმართ (მაგ., რასობრივი, ეთნიკური, სქესობრივი, რელიგიური, პროფესიული და სხვა სახის იდენტობა)” [6].

“შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ცალკეული ადამიანების მიერ ამა თუ იმ კატეგორიასთან საკუთარი თავის გაიგივება.” [7]

“ბარი ბიუზანი უსაფრთხოების სოციეტალურ სექტორს უწოდებს, რაც ეროვნულ-კულტურული თვთომყოფადობის საკითხების უსაფრთხოების რაკურსში აყვანაა, ქსენოფობის შემცველ სახიფათო ტენდენციადაა მიჩნეული” [8].

„იდენტურობა (ლათ. Identitatis „იგივე და იგივე“, ერთი და იგივე) არის ადამიანის ფსიქოლოგიური წარმოდგენა საკუთარ „მე“-ზე, როგორც სუბიექტურად აღქმულ რეალობასა და ინდივიდუალობაზე, რომლის მეშვეობით პიროვნება საკუთარ თავს აიგივებს (ნაწილობრივ გაცნობიერებულად და ზოგ შემთხვევებში ქვეცნობიერადაც) ამა თუ იმ ტიპოლოგიურ კატეგორიებთან (როგორიცაა სოციალური სტატუსი, სქესი, ასაკი, ჯგუფი, კულტურა).

იდენტურობა (მისი შეგრძნება) ყალიბდება ადამიანის ინდივიდუალური განვითარების კვალდაკვალ და სოციალიზაციის, იდენტიფიკაციის, პიროვნული ინტეგრაციის შედეგია. ინდივიდის მიერ სოციალურ-კულტურული ნიმუშების, ნორმების, ლირბულებების ათვისება და გაზიარება, საკუთარი თავის, ადგილის მიერთვნება არა არის ერთგვაროვანი პროცესი და ხასიათდება გარკვეული ცვლილებებითაც; ძირითადად ეს პროცესი ახალგაზრდობის დროს სრულდება. მეცნიერები ასევე გამოიყოფენ იდენტურობის დაკარგვის, შელახვის შესაძლებლობასაც, რომელიც ძირითადად ინდივიდის ასაკობრივი, ფსიქოლოგიური კრიზისის ან სოციალურკულტურული გარემოს მკვეთრად შეცვლის შემთხვევაში რეალიზდება.

სოციალურ-კულტურული ცვლილებების დროს იდენტურობის კრიზისმა შეიძლება ფართო, საყოველთაო მასშტაბები მიიღოს, თუმცა მას ზოგჯერ დადგებით რეზულტატამდეგც მივყვართ (როგორიცაა ცვლილებებისადმი ადაპტაცია, სტრუქტურული ცვლილებები და სხვ.). იდენტურობის მექანიზმი გადამწყვეტ როლს თამაშობს სოციალური

სტრუქტურისა და კულტურული ტრადიციების შენარჩუნების, გადაცემის პროცესში” [9].

ეროვნული იდენტობის არსი ჩადებულია ინდივიდებში, თვით ადამიანის ბუნებაში. აქედან გამომდინარე, იდენტობა განხილული უნდა იყოს როგორც წმინდა ადამიანური ფენომენი, რომელიც ვერ იარსებებს თავისი მატარებლის გარეშე.

ეროვნული იდენტობა ეყრდნობა ცნებას “ღირებულება” ამიტომ აუცილებელია იმის გააცნობიერება, რომ მნიშვნელოვანია არა მარტო მისი ფლობა, არამედ ისიც, თუ რა ღირებულებას წარმოადგენენ ისინი მისი შვლობელისათვის.

ქართული ეროვნული იდენტობა ჩვენი სიამაყის საგანს წარმოადგენს, რამეთუ მასში ასახვა პპოვა კაცობრიობის საუკეთესო იდეალებმა.

ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში არსებული მიღწევები, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავენ შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისაგენ სწრაფვას. პირიქით, თანამედროვე პირობებში უფრო ნათლად ჩანს ამ ამოცანის მნიშვნელობა, მისი ახალი ასპექტები და მათი კავშირი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების საჭირობოროტო საკითხებთან.

ეროვნული იდენტობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ეკონომიკის ეფექტიანობასთან, პოლიტიკური სისტემების ფუნქციონირებასთან, სულიერ სფეროსა და ახალი მენტალობის პიროვნების ფორმირების პროცესთან. ახლის დამკვიდრების პროცესი კი მოითხოვს მუდმივ, კანონზომიერ და სისტემურ მუშაობას.

საერთოეროვნული იდეის მქონე ძალად გადაქცევისათვის საჭიროა ეროვნული უსაფრთხოების ახალი კონცეფციის გაჯერება-გაშინაარსება „ქართველობის“ გრძნობით, ეროვნული იდენტობის მდიდარი ეროვნული შინაარსის აღორძინება.

„ქართველობა“ არის ერის დირსებისა და დიდებუნებოფანების საწყის, ერის უკვდავების დაუშრებელი სულიერი წყარო და მისი უჭირობი დათავსრივი ნიჭი, ერის სულიერი და ხორციელი ცხოვრების შემაკავშირებელი დუღაბი.

ცნება „ქართველობა“ წარმოადგენს ეროვნული იდენტობის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მისი გამოვლენა ხდება სოციალური აქტივობის მეშვეობით. სოციალური აქტივობა, როგორც ეროვნული იდენტობის სისტემაწარმომქმნელი ფაქტორი, გამოხატავს პიროვნების დამოკიდებულებას შრომისადმი და იმ პირობებისადმი, რომელ შიც მას უხდება შრომა და მოღვაწეობა.

ჩვენი აზრით, ეროვნული იდენტობის განცდა არის მამულისადმი შემეცნებითი დამოკიდებულება. როდესაც მეფე დავითის შემდეგ მისი ძე, სოლომონი ავიდა სამეფო ტახტზე, მან უფალს, უპირველეს ყოვლისა, სიბრძნე და ცოდნა შესთხოვა. და „უთხრა უფალმან სოლომონს: რაკი გულში ეს გქონდა და არ ითხოვე სიმდიდრე, ქონება, დიდება, შენი მტრების სული და არც ხანგრძლივი სიცოცხლე ითხოვე, არამედ მხოლოდ ცოდნა გამომთხოვე სამართავად ჩემი ერისა, რომელზედაც მე გაგამევე, გეძლევა სიბრძნე და ცოდნა. ისეთ სიძიდიდრეს, ქონებასა და დიდებას მოგანიჭებ, რომლის მსგავსი არც შენს წინამორბედად მეცნებს ჰქონდათ და არც შენს შემდეგ ედირსება ვინმეს” [10]. ალბათ, ბიბლიური სოლომონის მსგავსად, ჩვენმა წინაპრებმაც ცოდნა და სიბრძნე შესთხოვეს უფალს და უფალმაც უცვად უბოძა მათ სიბრძნე და გონიერება, რათა შესძლებოდათ დაეხახათ საკუთარი თვით და სამყარო ისეთი, როგორიც ის სინამდვილეშია. დაენახათ, რისი დათმობა იყო შესაძლებელი და ის, რაც მტკიცედ უნდა დაეცვათ სისხლის უკანასკნელ წვეთმდე, უკანასკნელ ამოასუნოქვემდე და თვით სიკვდილის შემდეგაც გაეგრძლებინათ ბრძოლა შეუბლალავი ღირსებითა და ვაჟკაცური სახელით.

ჩვენმა წინაპრებმა ცოდნის მეოხებით არსებული ვითარების შინაარსი თავიანთი ცხოვრების შინაარსად გადააქციეს, და დაადგინა ქართველმა კაცმა ჰეშმარიტება თავისი საუფლოს, ისტორიულ-კულტურული შემოქმედებითი არეალის, წარმომშობი მიწისა და სამშობლოს შესახებ. ეროვნული იდენტობისადმი შემეცნებითი დამოკიდებულება, უფლის მიერ მონიჭებული ცოდნა, გახდა ქართველი კაცის სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის დაუშრებელი წყარო.

ეროვნული უსაფრთხოების ახალ კონცეფციაში აგრეთვე საუბარია საქართველოს მოქალაქეთა კეთილდღეობაზე. აღიარებულია, რომ კეთილდღეობისკენ სწრაფვა არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება და მისი მაქსიმალური რეალიზაცია მხოლოდ თავისუფალ გარემოშია შესაძლებელი. თითოეული მოქალაქის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად საქართველო აყალიბებს ქვეყნის მდგრადი განვითარების ისეთ მოდელს, რომელიც ეფუძნება თავისუფალი ეკონომიკური გარემოს შექმნას, რაც გამოიხატება მცირე მთავრობის პრინციპით, პასუხისმგებლობიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკით, დაბალი გადასახადებით და მიზნობრივი სოციალური პოლიტიკის გატარებით [1].

ჩვენ მიგვაჩნია, რომ კეთილდღეობის და ღირსეული ცხოვრებისა აუცილებელი პირობები, უპირველეს ყოვლისა, სულიერი ცხოვრების გაფართოებასა და გაღრმავებაში დევს. იმ სულიერებაში, რომელსაც

ერის შემოქმედებითი გენია პქმნის და ორმელსაც ეროვნული კულტურა ჰქვია. კულტურა უცხო აბსტრაქტული ცნება არ არის. ყოველი კულტურა თვითმყოფადი ეროვნული განვითარების გზით მიღის და ეროვნულ ძალთა ერთიანი დაძაბვის შედეგია. კულტურა არის ეროვნული შემოქმედების ნაყოფი. ყოველი ერი და სახელმწიფოებრივი ერთობა დღვევანდვლამდე მოვიდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვითმყოფადი გზით, გამომდინარე მისი კულტურული ღირებულების სისტემიდან, რადგანაც "არსებობს სწორედ იმდენი კულტურული მიმდინარეობა, რამდენი ეროვნებაც ცოცხლობს. და ეს იმიტომ, რომ კულტურული შემოქმედების სუბიექტი შეიძლება მხოლოდ განსაზღვრული ეროვნული ერთეული იყოს" [11].

კულტურული შემოქმედების შედეგად მიღებული სულიერების გარეშე ერს არ შეუძლია არსებობა და იგი თანადათან იღუპება. "ერის სიცოცხლე დაუსრულებელი სიცოცხლეა, თუკი კარგს ვთიარებაშია, თუკი მოვლა აქვს, თუკი ერის მეთაური სცდილობენ აიცდინონ მომაკვდინებელი სენი და ჭირი. დირსეული წარსეულის ერი თუ კვდება, უქმდება აწმეოს უვარგისობით უნდა მოკვდეს, უნდა მოუვლელობა და დაუდევრობა გახდეს იმის სიკვდილის მიხეხი" [12].

დღეს არსებითია საქართველოს შემობრუნება საქუთარი ეროვნული სათავეებისაკენ, რაც ნიშნავს იმას, რომ საზოგადოების გარდაქმნა და ახლისაკენ შემობრუნება, უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივ სფეროში უნდა მოხდეს, რადგან პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები თუ არ იქნა დაფუძნებული მყარ ზნეობრივ ბალავარზე, ძნელია ითქვას, რას მივიღებთ. მხოლოდ „ზნეობრივ პრიციპებს შეუძლიათ ზნეობრივ ძალად გარდაიქმნენ, ნებისყოფა აამოქმდონ და განსაკუთრებული მიმართულებით აამუშაონ“ [13].

ლიტერატურა

Reference:

1. saqarTvelos erovnuli usafrTxoebis koncefcia. Tb. 2012
2. adgilobrivi demokratiis gzamkvlevi saqarTvelosTvis - Tb.: saq. evropis sabWos sainf. biuro, 2004
3. erovnebaTSorisi urTierTobebis marTva, [meToduri saxelmzRvanelo], adamianis resursebis ganviTarebis fondi, – red. javaxiSvilisa j. sarjvelaZis n., Tb, 2007.
4. erTi sazogadoeba, mralvali eTnosi: eTnikuri mralvalferovneba da samoqalaqo integracia saqarTveloSi / mSvidobis, demokratiisa da ganviTarebis kavkas. in-ti - Tb.: 2003

5. nodia g. samoqalaqo sazogadoebis ganviTareba saqrTveloSi: miRwevebi da gamowvevebi: strategiis ganaxadi // gia nodia; mSvid., demokr. da ganviT. kavk. in-ti, samoq. interessebis dacvis programa - Tb., 2005]
6. erovnebaTSorisi urTierTobebis marTva, [meToduri saxelmzRvanelo], adamianis resursebis ganviTarebis fondi, – red. javaxiSvilisa j. sarjvelaZis n., Tb, 2007.
7. partiebi da TviTmmarTveloba: gzamkvlevi politikuri partiebisTvis /mSvidobis, demokratiisa da ganviTarebis kavkasiuri instituti - Tb.: CIPDD, 2007. – 27gv.
8. samxedro-samoqalaqo urTierTobebi: Teoriuli sakiTxebi da saqrTvelos magaliTi /Svidobis, demokratiisa da ganviTarebis kavkas. in-ti; [Semdg.: gia nodia, daviT darCiaSvili; red.: zeinab saraZe] - Tb. : CIPDD, 2000
9. wereTeli ivane, kakitelaSvili qeTevan. kultura da modernizacia: saleqcio kursi soc. mecn. magistraturisaTvis // ivane wereTeli, qeTevan kakitelaSvili; [mT. red.: marine CitaSvili, enobr. red.: lia kaWarava] - Tb.: socialur mecnierebaTa centri, 2006
10. biblia. Zveli aRTqma. meore neStTa I, 11-12. gv. 413
11. uznaZe d. omis filosofia. gaz. „saxalxo furceli”, 1914, #49. ix.: berulava n. dimitri uznaZe. cxovreba da Semoqmdebeba. Tbilisi. 1967, gv. 89.
12. vaJa-fSavela. Txzulebani. axlad gamovlenili masalebi. Tb., 1979. gv. 170
13. uznaZe d. omis filosofia. gaz. „saxalxo furceli”, 1914, #49. ix.: berulava n. dimitri uznaZe. cxovreba da Semoqmdebeba. Tbilisi. 1967, gv. 178.
14. WavWavaZe i. saqrTvelos matiane. rCeuli nawarmoebebi xuT tomad. t. V. Tbilisi. 1987
15. gordeziani r. qarTuli TviTSegnebis Camoyalibebis problema. Tbilisi. 1993

Otar Kochoradze, Shalva Natroshvili
Civil society, civil integration and national identity

Summary

The statehood identity, as value, means a person's perception of his country as comprehensive whole. It also means rating citizens themselves to the country. Adoption of the statehood identity value means that a person ties his fortune with the fortune of the country, assumes the culture of the country, its history and future – becomes a citizen of the country. All this is indispensable condition for forming the country's population into one people, and it goes without saying that it'll promote finding of its place on international scene.

Georgia's priority is to maintain and develop its cultural diversity and national uniqueness. It is important for Georgia to foster the integration and engagement of

all ethnic groups in the country's development process. Georgia creates conditions for the protection and development of the identity and culture of these groups.

Keywords: Georgia, civil society, civil integration national identity, cultural diversity, national uniqueness

Reviewer: Professor Shota Dogonadze, Georgian Technical University

Отар Кочорадзе, Шалва Натрошили

Гражданское общество, гражданская интеграция и национальная идентичность

Резюме

Государственная идентичность, как ценность, подразумевает, восприятие человеком своей страны, как единого целого. Это также подразумевает привязанность самих граждан к страну. Восприятие государственной идентичности означает, что человек связывает свою судьбу с судьбой страны, предполагает принятие культуры страны, ее истории и будущего – и становится гражданином страны. Все это является необходимым условием для формирования населения страны в единый народ, и само собой разумеется, что это будет способствовать нахождению своего места в международном сообществе.

Приоритетом Грузии является сохранение и развитие своего культурного многообразия и национальной самобытности. Для Грузии важно содействовать интеграции и взаимодействию всех этнических групп в процессе государственного строительства. Грузия создает все условия для сохранения и развития самобытности и культуры этих групп.

Ключевые слова: Грузия, гражданское общество, гражданская интеграция, национальная идентичность, культурное многообразие, национальная самобытность.

Рецензент: Профессор Шота Догонадзе. Грузинский технический университет

მართი იზორია პოლიტიკური საქართველოში და მათი მობირების გზები

ამერიკელი პოლიტიკოლოგი ფილიპ რაიტი კონფლიქტს განიხილავს, როგორც სოციალური ერთეულების ურთიერთდაპირისპირებას, რომლებიც მთელ თავიანთ ძალისხმევას მიმართავენ გარკვეული მიზნის მიღწევისკენ, იმისდა მიუხედავად, რომ ეს მიზანი ყველას ერთნაირად არ აგმაყოფილებს [1; გვ.241.].

რესი მეცნიერის ა. ზდრავომისლოვის აზრით, „კონფლიქტი საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალური მოვლენაა, რომლის გამოვლენა და განვითარება, საბოლოო ჯამში, სასარგებლო და საჭირო საქმეა [2; გვ.3]“ (მიუხედავად ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კონფლიქტის ესკალაციის მთავარი მიზეზი საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობების გამწვავება-გამრავლებაში მდგომარეობს. XX საუკუნის ბოლო ოცწლეულის ერთ-ერთ ყველაზე დამასახიათებულ ნიშან-თვისებას სწორედ საზოგადოებრივი წინააღმდეგობების (სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ნაციონალური, ეთნიკური, რელიგიური, სულიერ-კულტურული) გამწვავება წარმოადგენს.

კონფლიქტის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი. მისი ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში რომ, ხშირ შემთხვევაში, ესათუის ეთნოსი თავისი კულტურის, თვითმყოფადობისა თუ სულიერი ერთობის დაცვის საუკეთესო გარანტიას საეუთარი სახელმწიფოს შექმნაში ხედავს. თუმცა, სწორედ ამაში მდგომარეობს მთელი პრობლემა, ვინაიდან იდეის რეალიზაცია, რომელიც თითოეულ ეთნოსზე ცალკე სახელმწიფოს შექმნას ითვალისწინებს – აბსოლუტური უტოპიაა.

ქართულ კონფლიქტებზე, უფრო სწორად ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე, კონფლიქტის ესკალაციისა განვითარებაზე არაერთი ნაშრომი იქნა გამოქვეყნებული ბოლო 20 წლის განმავლობაში დაისახა არაერთი გეგმა მათი მოგვარებისა შესახებ,

თუმცა ჯერჯერობით უშედეგოდ. აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით სერიოზული კელევები და ნაშრომები აქვთ ქართველ მეცნიერებს: ზ. პაპასქირს, თ. მიბჩუანს, თ. ნადარეიშვილს, გ. გასვიანს, პ. დავითაიას, დ. ჩიტაიას, ა. შონიას, ა. თოთაძეს, ჯ. გამახარიას, ლ. მარშანიას. ყოველი მათგანი სხვადასხვაგვარად სახავს კონფლიქტის მიზეზებსა და განვითარებას.

„ქართული მხარე არასოდეს ყოფილა შეიძრადებული შეტაკები წამომწყები, იგი არასდროს დასცემია პირველი ოს სეპარატისტების. კიდევ მეტი – ქართული მხარე ყოველთვის მოუწოდებდა დიალოგისკენ, კონფლიქტური სიტუაციების პოლიტიკურ სამართლებრივი მოგვარების ინიციატორად გამოდიოდა. ასე იყო 1918-1921 წლებში. ახელ დღესაც [3; გვ.13].

ზ. პაპასქირი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში საქართველოს ადანაშაულებს, ოღონდ არა ხელისუფლებას, არამედ საზოგადოებას. 1998 წელს გამოცემულ წიგნში „აფხაზეთი საქართველოა“ ზ. პაპასქირი კონფლიქტის წინაპირობებთან მსჯელობისას აღნიშნავს: ჩვენ კარგად გვესმის, რომ მოსკოვი არ დაუშვებდა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან „აქტიურ ჩარევას“ აფხაზეთის „საშინაო“ საქმეებში, მაგრამ ეს მაინც არ ამართლებს თბილისის პასიურობას. ვფიქრობ საქავშირო ცენტრის დიქტატის პირობებშიც კი შესაძლებელი იყო ქმედითი მექანიზმების მოქმედნა რეგიონში მიმდინარე პროცესების დასარეგულირებლად. ამის ნაცვლად, სამწუხაროდ, საქართველოს სსრ კომუნისტური ხელმძღვანელობა ხშირ შემთხვევაში თვალებს ხუჭავდა და სირაქლეებას პოზას იღებდა [3; გვ 199].“

პოლიტიკური დანაშაულად ითვლებოდა ქართულ-აფხაზური ისტორიულ-კულტურული ერთობის აღიარება და პროპაგანდა, ხოლო პირები, რომლებიც შემჩნეული იქნებოდნენ ამგვარ „დანაშაულში“, ცხადდებოდნენ „აფხაზი ხალხის მტრად“, მაშინ როდესაც ხელისუფლება არავითარ ზომებს არ იღებდა იმ აფხაზ „მოღვაწეთა“ (მეცნიერების, მწერლების და ა.შ.) მიმართ, რომელთა მოქლი საქმიანობა მიმართული იყო საქართველოსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ. განსაკუთრებით თვალნათლივ გამოწნდა ისტორიოგრაფიაში. სწორედ ისტორიული სიმართლის გაყალბებამ დაიკავა გამორჩეული ადგილი ნაციონალ-სეპარატისტთა პოლიტიკურ და იდეოლოგიურ არსენალში... საქართველოს სახელმწიფოს და ქართველობას სრულიად უსაფუძვლოდ აცხადებდნენ საუკუნეების მანძილზე აფხაზი ხალხის თავზე დატრიალებული ყველა უბედურებისა და პოროცების მთავარ მიზეზად [4, 200-201].

იმის ნაცვლად, რომ დროულად გამოვჭინებულიყავით და აფხაზთა ნაციონალისტურ დემარშისათვის აქტიური ეროვნული მოქალაქეობრივი პოზიცია დაგვეპირისპირებით, ჩვენ ჩვენივე ლაბრული დუმილით კიდევ უფრო ვათამამებდით მათ

რუსეთის ეწ. რეაქციული წრების მაღალჩინოსანი პოლიტიკოსები გავამავდენენ ოქების გაჩაღებას ყოფილი საბჭოთა კავშირის იმ რესპუბლიკებში, რომლებიც დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდნენ. რუსეთის გენერაბში იგეგმებოდა გაგრისა და სოხუმის აღება და ა.შ. ენერგიის გადანაცვლება მოხდა აფხაზეთში, ყოფილ ს.მ. ოსეთში, თუმცა ამ პროცესს ხელი შეუწყო საშინაო პირობებთან ერთად საგარეო ფაქტორებმაც. დაიწყო საქართველოს დაშლის პროცესიც[5, გვ. 57].

საქართველოსადმი რუსეთის მტრული დამოკიდებულების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდდათ ის, რომ ჩრდილოელ მეზობელს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული მრავალსაკუნოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიისა და კულტურის მქონე თვითმეოფადი საქართველოს დამორჩილება ძნელი იქნებოდა და იგი რუსეთის კოლონიური პოლიტიკისათვის მუდმივ საფრთხეს წარმოადგენდა, ამიტომაც რუსეთი წინასწარ დებულობდა ზომებს, რომელსაც მაშინათვე გამოიყენებდა, თუ საქართველოს ურჩობას და წართმეული სახელმწიფოებრიობის აღდგენის სურვილს შეატყობდა.

კონფლიქტი აფხაზეთში არ არის კონფლიქტი ეთნიკურ ნიადაგზე, კონფლიქტი ქართველებსა და აფხაზებს შორის, ეთნონაციონალური ელფერი მას განზრას მიანიჭეს, რათა შეენიდბათ მისი სულისჩა-მდგმელების პოლიტიკური მიზნები” [6] – ნათქვამია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფო მეთაურის სიტყვაში გაეროს უშიშროების საბჭოს 1994 წლის 9 მარტის სხდომაზე.

ეთნოსშორისი ურთიერთობები თავისთვად ისედაც მაღალი კონფლიქტობენურობით გამოირჩევიან. როდესაც ამას ემატება პოლიტიკური შეცდომებიც, მათი ფეთქებადი პოტენციალი რამდენჯერმე იზრდება არა საბჭოთა ხელისუფლებისა და, შემდგომში, დამოუკიდებელი რუსეთის ხელმძღვანელობის მაშინდელი პოზიცია, რაც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სეპარატისტული მოძრაობების მხარდაჭერაში გამოიხატებოდა, შესაძლოა კონფლიქტის ესკალაცია საერთოდ არც კი მომხდარიყო ან, თუნდაც, თავიდან აგვეცილებინა სისხლისმდგრელი ოქები თავისი დამანგრეველი შედეგებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეთნიკური ნიშანი მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენდა არა განმსაზღვრელ ფაქტორს, არამედ კრემლის იმპერიული პოლიტიკის შედეგს, რამაც გამოიწვია ეთნოს-შორისი წინააღმდეგობების გადაზრდა შეიარაღებულ კონფლიქტებში.

პრეზიდენტისგან ირჩევა. ნიუ-იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკის პრეზიდენტი კომიტეტის უცვლელი წევრია. სმის უცვლების გარეშე კომიტეტის ყველა შეკრებას ესწრება დანარჩენი შეიძიო სარეზერვო ბანკის პრეზიდენტიც. კომიტეტი იქრიბება წელიწადში რვაჯერ. კანონის მოთხოვნის შესაბამისად რვიდან ოთხი შეხვედრა აუცილებლად ვაშინტონში უნდა ჩატარდეს. კომიტეტის წევრები ასევე შეიძლება მოწვეულ იქნან რიგბარეშე შეკრებაზე, სპეციფიური სიტუაციებიდან გამომდინარე. გეგმიური შეხვედრებზე გადაწყვეტილებების მიღება ხდება მონეტარული პოლიტიკის, როგორც გრძელვადიან ასევე მოკლევადიან ასპექტებზე. ხდება კურსის შეჯერება თუ რა მიმართულებით უნდა წარიმართოს მონეტარული პოლიტიკა შემდეგ შეხვედრამდე. ასე რომ აბსოლიტურად ყველა შეხვედრაზე ხდება გარკვეული გადაწყვეტილებების მიღება. კომიტეტზე დამსწრეთა რაოდენობა ყოველთვის მკაცრად შეზღუდულია, იმ კონფიდენციალური საკითხებიდან გამომდინარე, რომლებიც კომიტეტზე განიხილება ხოლმე.

აღნიშნულ კომიტეტზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი მნიშვნელოვანია, რათა დროულად მოხდეს სწორ გადაწყვეტილებაზე შეჯერება. კომიტეტის გეგმიური შეხვედრის წინ, დია ბაზრის ფედერალური კომიტეტის ადმინისტრაციის წევრები წერილობითი ფორმით წინასწარ ამზადებენ ანგარიშს, სადაც აშშ-ის ეკონომიკის გასული პერიოდის მოვლენები და სამომავლო პერსპექტივებია ასახული. ეს ანგარიში შეხვედრამდე უზავენებათ კომიტეტის წევრებს, მათ შორის სმის უცლების არ მქონე შეიძიო სარეზერვო ბანკის პრეზიდენტს.


ანგარიშიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით კომიტეტზე დისკუსია მიმდინარეობს სხვადასხვა ფაქტორებთან დაპავშირებით – ფასების ინდექსი და სელფასები, დასაქმების დონე და წარმოება, მომსმარებელთა შემოსავლები და ხარჯები, ინვესტიციები და ახალი ტექნოლოგიები, უცხოური ვალიუტის კურსები, საპროცენტო განაპეოები, ფისკალური პოლიტიკა. კომიტეტს ასევე წარედგინება ბოლო შეხვედრის შემდგომ განვითარებული საყურადღებო მოვლენების შესახებ ანგარიში, რის შემდგებაც კომიტეტის წევრები იწყებენ არსებული მდგომარეობის შეჯამებას. თითოეული წევრი გამოიტვამს საკუთარ მოსაზრებას თუ როგორ უნდა წარიმართოს მონაცემული პოლიტიკა არსებული მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების გთვალისწინებით.

საბოლოოდ კომიტეტი აჯამებს სხვადასხვა შეხედულებებს და კონსენსუსის გზით იღებს გადაწყვეტილებას გაწერილს დირექტივის სახით, რომლითაც უნდა იხელმძღვალოს ნიუ-იორკის ფედერალურმა

სარეზერვო ბანკმა დია ბაზარზე. თორმეტი სარეზერვო ბანკიდან მხოლოდ ნიუ-იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკი გამოიდის დია ბაზარზე და მინიჭებული აქვს ექსპლუზიური უფლება ფედერალური სარეზერვო სისტემის სახელით ივაჭროს სახელმწიფო ობლიგაციებით. კომიტეტის დირექტივა შეიცავს ყოველდღიურ მითითებას ბანკის ხელმძღვანელობისთვის თუ როგორ იმოქმედოს დია ბაზარზე; ასევე აწესებს ჩარჩოებს, რომლის ფარგლებშიც შეუძლია იმოქმედოს ბანკს, რათა მიაღწიოს დია ბაზრის კომიტეტის მიერ დასახულ გრძელვადიან მიზნებს, დაკავშირებულს საპროცენტო განაკვეთან, ფულის მასასთან და სხვა მნიშვნელოვან მაკროეკონომიკულ მაჩვენებლებთან.

დია ბაზრის ფედერალური კომიტეტზე მმართველთა საბჭოს წარმომადგენლების გარდა დიდ გავლენას ახდენს ასევე თორმეტი ფედერალური სარეზერვო ბანკის პრეზიდენტიც. საინტერესოა თუ როგორ ხდება აღნიშნული პრეზიდენტების არჩევა და ასევე რა ტერიტორიული პრინციპით არის შედგენილი თორმეტი სარეზერვო ბანკისგან შემდგარი აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა.

1913 წლის ფედერალური სარეზერვო სისტემის შესახებ კანონით, ფინანსური მართვის თვალსაზრისით, აშშ დაიყო თორმეტ ოლქად, რომელთაგან თითეულს საქუთარი ფედერალური სარეზერვო ბანკი აქვს. ოლქების განაწილება მოხდა მოსახლეობის რაოდგნობისა და ფინანსური კაპიტალიზაციის დონის მიხედვით. მაგალითოსთვის მე-2 ოლქი მოიცავს საკმაოდ მცირე ტერიტორიას, თუმცა მასში შედის აშშ-ის ფინანსური ცენტრი ნიუ-იორკი და შესაბამისად ფინანსური აქტივება ამ ოლქზე ყველაზე მაღალია, მიუხედავად მცირე ტერიტორიისა. ამავდროულად, ტერიტორიით საკმაოდ დიდი მინიაპლისის მე-9 ოლქი ფინანსური აქტივობით და კაპიტალიზაციის დონით ბოლო ადგილზეა (იხ. რუკა №3).



რუპა №2 ფედერალური სარეზერვო ოლქები

თორმეტი სარეზერვო ბანკი განლაგებულია აშშ-ის შემდეგ ქალაქებში: ბოსტონი, ნიუ-იორკი, ფილადელფია, კლივლენდი, რიჩმონდი, ატლანტა, ჩიკაგო, სენტ-ლუისი, მინეაპოლისი, კანზას სითი, დალასი და სან ფრანცისკო. თოთვეული სარეზერვო ბანკი ემსახურება თავის ოლქში არსებულ წევრ ბანკებს, ასევე ატარებს ფედერალური სარეზერვო სისტემის შემუშავებულ მონეტარულ პოლიტიკას საკუთარ ოლქში.

ფედერალური სარეზერვო ბანკების დონეზე ხდება ინტერესების დაბალნება კერძო, საზოგადო და სახელმწიფო სექტორს შორის. ბანკის პრეზიდენტი, რომელიც ამავდროულად არის გენერალური დირექტორი, მონაწილეობას იღებს დია ბაზრის კომიტეტის საქმიანობაში და როტაციის პინციპით ზოგჯერ ხმის უფლებითაც სარგებლობს, შესაბამისად საინტერესოა თუ როგორ ირჩევენ ბანკის პრეზიდენტს.

ფედერალური სარეზერვო ბანკის პრეზიდენტის კანდიდატურები წარდგენილია ამავე ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ, მის დანიშნვას კი შერჩეული კანდიდატურებიდან ახორციელებს ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა საბჭო. ბანკის პრეზიდენტი ინიშნება ხუთი წლის ვადი და შესაბლებულია ხელახლა დაინიშნოს უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდგომ.

დირექტორთა საბჭო, თავის მხრივ, ცხრა წევრისგან შედგება. საბჭოში სამი სახის წევრები არიან გაერთიანებული: A, B და C. თოთველი ცალკე ინტერეს ჯგუფს წარმოადგენს. A ჯგუფის წევრებს ნიშავებ სარეზერვო სისტემის იმ ოლქის წევრი კომერციული ბანკების წარმომადგენლები, რომლებსაც ემსახურება აღნიშნული სარეზერვო ბანკი. A ჯგუფი წარმოადგენს კომერციული ბანკების ინტერესებს და უმტკესწილად ბანკირები ირჩევიან ამ ჯგუფში. მათი საშუალებით კომერციული ბანკები ცდილობენ ზეგავლენა იქონიონ პრეზიდენტის არჩევაზე და შესაბამისად წარმომადგენელი ჰყავდეთ თორმები წევრიან დია ბაზრის კომიტეტში, რომელიც ქვეწის მონეტარული პოლიტიკის წარმართვის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს. B ჯგუფის წევრები ასევე კომერციული ბანკების მიერ არიან არჩეულნი, მაგრამ ისინი ვალდებულნი არიან დაიცვნ საჯარო ინტერესები, კერძოდ, გაითვალისწინონ სხვადასხვა სოციალური ფაქტორები, მათ ყოველთვის მედველობაში უნდა პქონდეთ უმუშევრობის საკითხები, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მომხმარებელთა ინტერესები და ა.შ. თუმცა აქვე გასათვალისწინებულია, რომ ჯგუფის წევრები კომერციული ბანკების მიერ ინიშნებიან და შესაბამისად საკმაოდ მაღალი რისკი არსებობს, რომ გარკვეული გავლენა ექნებათ კომერციულ ბანკებს B ჯგუფის წევრების გადაწყვეტილებებზე, მთუმეტებს, რომ აღნიშნული ჯგუფის მიერ საჯარო ინტერესების დაცვა მხოლოდ ზოგადად არის განსაზღვრული და კონკრეტული მექანიზმები, რომ ეს ზუსტად ასე იქნება არსად არის გაწერილი. A და B ჯგუფის წევრებს კომერციული ბანკები შემდეგი სისტემით ირჩევს: კომერციული ბანკები დაყოფილია სამ ტიპის ბანკებად გამოყონიარე მათი აქტივების სიდიდიდან, მსხვილი, საშუალო და მცირე ბანკები. თითული ტიპის ბანკები აღნიშნულ ორ ჯგუფში წარადგენს თითო თითო წევრს, სულ ჯამში ექვს წარმომადგენელს.

C ჯგუფის წევრები ინიშნებიან ფსე-ს მმართველთა საბჭოს მიერ და ისინიც ვალდებულნი არიან წარმოადგინონ საჯარო ინტერესები. აღნიშნულ შემთხვევაში ამ ჯგუფის წევრები არ არიან კერძო სექტორზე დამოკიდებულნი და მათი დამოუკიდებლობის სარისხი კომერციული ბანკების ინტერესებისგან გაცილებით მაღალია.

სარეზერვო ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრების უფლებამოსილება სამი წლით განისაზღვრება. მათგან თითო წლით ირჩევა ორი წევრი თავჯდომარისა და მოადგილის პოსტზე. საბჭოს წევრები არ შეიძლება იყვნენ აშშ-ის კონგრესის წევრები, ასევე B და C ჯგუფის წევრები არ შეიძლება იყვნენ რომელიმე კომერციული

ფერალური სარეზერვო ბანკი	მთლიანი პირის მიერ (09/15/2010) მდრ აშშ დოლარში
-----------------------------	--

ბანკის თანამშრომლები. С ჯგუფის წევრებს ასევე ეპრალებათ წილის ქონა ნებისმიერ კომერციულ ბანკში. ყველა ჯგუფის წევრს ეპრალება პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვა ან ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის წევრობა. დირექტორთა საბჭოს წევრების საქმიანობის შეზღუდვები მიზნად ისახავს მათ განთავისუფლებას ნებისმიერი სახის გავლენისგან, რათა ისინი მაქსიმლურად თავისუფალნი იყვნენ გადაწყვეტილების მიღებისას.

მიუხედავად იმასა, რომ დირექტორთა საბჭოს წევრობა სრული განაპვეთით მუშაობას არ გულისხმობს, საბჭოს წევრებს ფართო უფლებამოსილებების სფერო გააჩნიათ. ისინი ზედამხევლობენ სარეზერვო ბანკის საქმიანობას, შეიმუშავებენ რეკომენდაციებს მონეტარული პოლიტიკის წარმართვასთან დაკავშირებით. ფსს-ს მმართველთა საბჭოს წარუდგენენ პრეზიდენტის კანდიდატურას დასამტკიცებლად. დირექტორთა საბჭოს წევრები განიხილავენ ბანკის შემოსავლებსა და ხარჯებს, ასევე ორგანიზებას უწევენ შიდა აუდიტის პროცესს ბანკში.

დირექტორთა საბჭოს გააჩნია მნიშვნელოვანი ბერკეტი საპროცენტო განაკვეთის კონტროლის სახით. ანუ მათ შეუძლიათ აწიონ ან შეამცირონ საპროცენტო განაკვეთი სესხებზე, რომელსაც ფედერალური სარეზერვო ბანკი გამოუყოფს კომერციულ ბანკებს. აღნიშნული პროცენტის გადახედვა, როგორც წესი ხდება ორ კვირაში ერთხელ.

თვითონ ფერალურ სარეზერვო ბანკებს, თორმეტი სათავო ოფისის გარდა აქვს ფილიალები, რომლებიც მათივე ოლქების ფარგლებში არის განლაგებული. ფილიალების მენეჯერებს ნიშნავს სათავო ოფისის დირექტორთა საბჭო. ფედერალური სარეზერვო ბანკების კაპიტალიზაცია ოლქების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. ცხრილი №4):

ცხრილი №3

ნიუ-იორკი	1 106
რიჩმონდი	257
სან ფრანცისკო	224
ატლანტა	162
ჩიკაგო	124
დალასი	88
ფილადელფია	80
ალივლენდი	61
ბოსტონი	59
კანზას სითი	55
სენტ ლუისი	42
მინიაპოლისი	41
მთლიანი	2 299

აღნიშნული ცხრილიდან კარგად ჩანს, ფინანსური აქტივობა ორ ცენტრზე არის გადანაწილებული – აღმოსავლეთით ნიუ-იორკში, ხოლო დასავლეთით კალიფორნიის შტატი, სან ფრანცისკოში.

ფედერალური სარეზერვო სისტემის სტრუქტურა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც პირამიდა, რომლის სათავეშიც შვიდ წევრიანი მმართველთა საბჭოა. პირამიდის ძირში კი აშშ-ის მოქალაქები, რომლებიც საბოლოო მომხმარებლები არიან ფსს-ს მიერ შექმნილი პროდუქტებისა – მონეტარული პოლიტიკის (იხ. სქემა №5). ქვევით მოცემულ სქემაში კარგად ჩანს თუ როგორ ნაწილდება უფლებამოსილებები აღნიშნულ სისტემაში: სათავეში მმართველთა საბჭოა, რომელის გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტი ღია ბაზრის კომიტეტია, სადაც ამავდროულად მონაწილეობენ ფედერალური სარეზერვო ბანკების პრეზიდენტები. მათ გადაწყვეტილებებს ემორჩილებიან კომერციული ბანკები და პირამიდის ძირში არიან მომხმარებლები – აშშ-ის მოქალაქეები.

ფედერალური სარეზერვო სისტემა



სქემა №4

აღნიშნული პირამიდის ბოლო საფეხური, ანუ მოქალაქეები, ამავდროულად არაპირდაპირ არიან ფსს-ს უფლებამოსილების წყაროც. საქმე იმაშია, რომ ფსს-ს ხელმძღვანელობა ინიშნება აშშ-ის მთავრობის მიერ, რომელიც თავის მხრივ მოქალაქეების მიერ არის არჩეული. ამ კავშირით იკვრება ის წრე, რაც მთლიანად უუდადესარედიტო სისტემას და მის მართვას წარმოადგენს აშშ-ში. ხალხი ირჩევს მთავრობას, რომელიც ნიშნავს ცენტრალური სარეზერვო სისტემის მმართველობას, რომელიც თავის მხრივ ემსახურება კომერციულ ბანკებს და საბოლოო ჯამში, კომერციული ბანკების მომსმარებლებს – ხალხს.

საინტერესოა ასევე ფსს-ს ურთიერთქმედება მთავრობასთან და ის თუ როგორ არის მათ შორის გამიჯნული უფლებამოსილებები. ფსს-ს აქტივები, მთლიანად კერძო ორგანიზაციების, კომერციული ბანკების წილებისგან შედგება, ანუ ფსს-ს აქტივები მთლიანად კომერციული წარმომავლობისაა. აქტივების მართვა ხდება მთავრობის მიერ დანიშნული მმართველთა საბჭოს მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია მთლიანად კომერციული აქტივებისგან შედგება, იგი საჯაროს ორგანიზაციაა, რომელიც გამოდის როგორც სახელმწიფოს ბანკირი, მის მიერ მიღებული შემოსავლის 100% სახელმწიფოს

ექუთვნის და პირდაპირ ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში. ასეთი ტიპის ორგანიზებას, სადაც კერძო აქტივებს მოლიანად სახელმწიფო განაგებს და მიღებულ შემოსავალსაც თვითონ იღებს, მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული სისტემა არა ძალადობის, არამედ კონსენსუსის საფუძლებზე შეიქმნა. ანუ კომერციულმა ბანკებმა ნებაყოფლობით დათმეს თავის აქტივების ნაწილი, რათა სამაგიეროდ მიეღოთ სტაბილური მონეტარული პოლიტიკა, კონკურენტული და სამართლიანი საფინანსო ბაზარი.

მთავრობას არ აქვს უფლება მონეტარული პოლიტიკის შემუშავებაში ჩაერთოს. ეს ფსს-ს ექსკლუზიური უფლებაა. თუმცა მთავრობა ახორციელებს ზოგად ზედამხედველობას, რასაც ამჟარებს 1978 წლის ფედერალური საბანკო საქმის სააგენტოს აუდიტის შესახებ, რაც მთავრობას ფედერალური სარეზერვო სისტემის აუდიტის უფლებას აძლევს მთავრობის ანგარშვალდებულების ოფისის [აშშ-ის ხელისუფლების მაკონგროლებელი ორგანო, რომელიც პირდაპირ დაქვემდებარებულია აშშ-ის კონგრესს. <http://www.gao.gov/>] მიერ. თუმცა შეზღუდვები თუ რისი შემოწმება შეიძლება აქაც არის დაწესებული. მთავრობის ანგარშვალდებულების ოფისშა არ შეიძლება შეამოწმოს:

1. ტრანზაქციები უცხოურ ცენტრალურ ბანკებთან ან სხვა არაკომერციულ ფინანსურ ორგანიზაციებთან

2. მონეტარულ პოლიტიკასთან დაკავშირებული განხილვები, გადაწყვეტილებები ან ქმედებები

3. ლია ბაზრის ფედერალური კომიტეტის დორექტივების შესაბამისად განხორციელებული ტრანზაქციები

4. ნებისმიერი დისკუსია ან კომუნიკაცია ფსს-ს თანამშრომლებს შორის, რომელიც ეხება ზედა სამ ჩამონათვალში ნახსენებ საკითხებს

ფაქტიურად გამორიცხულია ყველა საკითხი, რომელიც შესაძლოა შექოს მონეტარული პოლიტიკის შემუშავების ან გატარების პროცესს, რათა დაცული იყოს ფსს-ს სრული დამოუკიდებლობა აღნიშნული პოლიტიკის წარმოებისას.

ფედერალური სარეზერვო სისტემის ფინანსური ინსტრუმენტები
ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელთ არსებული ინსტრუმენტების განხილვამდე, ვნახოთ, საერთოდ, როგორ იქმნება ფული საბანკო სფეროს მეშვეობით. განვიხილოთ რეზერვის ცნება საბანკო სფეროში. ყველა ბანკის აქტივების წეარო არის, ამავე ბანკის ვალდებულებები, ანუ დეპოზიტებზე მიღებული თანხები. როგორაც პიროვნებას ბანკში ანგარიშზე შეაქვს თანხა, ბანკი ნაღდ ფულს ინახავს და პიროვნებას აძლევს უბრალო დამოწმებულ ქაღალდს,

რომელიც ადასტურებს, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს თანხა საბანკო ანგარიშზე. ვნახოთ თუ რეალურად რა მოხდის ნაღდ ფულს, რომელიც თავისი ხელით მიიტანა პიროვნებამ ბანქში. იმის შემდეგ, რაც ბანკი მიიღებს ნაღდ ფულს, მას გაუჩნდება დავალიანება იმ პიროვნების მიმართ, რომელმაც თანხა მიანდო მას, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ასესხა ბანკს. ბანკს აქვს ნაღდი ფული და იმავე რაოდენობით ვალდებულება, ბანკის ბალანსის შედგენისას მისი ვალდებულება გააბათილებს არსებულ აქტივს – ნაღდ ფულს და ბანკის საკუთარი კაპიტალი ნულის ტოლი იქნება.

რადა თქმა უნდა, ბანკს არანაირად არ აწყობს, უბრალოდ თანხების შენახვა, მითუმეტეს, რომ უმოძრაოდ გაჩერებულ თანხას სარგებელი არ მოაქვს. ამიტომ ბანკი იქცევა შემდეგნაირად: ვინაიდან ყველა ადამიანს, რომლმაც მას თანხა ასესხა, დავარქვათ მათ სიმრავლეს – დეპოზიტები, ანუ დეპოზიტის მფლობელები, ერთდროულად არ დასჭირდება თავისი თანხის უპან გატანა, ბანკი მიღებული დეპოზიტებიდან, მხოლოდ გარკვეულ ნაწილს ინახავს ნაღდ ფულად, დანარჩენს კი ასესხებს უკვე სხვა ადამიანებზე, პირობითად მათ სიმრავლეს მსესხებლები დავარქვათ. თუ ჩავთვლით, რომ ნორმალურ სიტუაციაში ყოველი 100 დეპოზიტარიდან საშუალოდ 10 თუ მოითხოვს თავის თანხას უკან, ბუნებრივია ბანკი იძულებული იქნება დეპოზიტების მეათედი ყოველთვის გადადებული პქონდეს ასეთი შემთხვევებისთვის. სწორედ ამ მეათედ ნაწილს ეწოდება საბანკო რეზერვები, ხოლო აღნიშნულ სისტემას ნაწილობრივი რეზერვების სისტემა. საბანკო რეზერვები მსოფლიოს ყველა კომერციულ ბანკს აქვს. მინიმალური რეზერვის მოთხოვნა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირია და დამოკიდებულია აღნიშნულ ქვეყანაში გატარებულ მონეტარულ პოლიტიკაზე.

ფულის ერთეული სპეციალურ საბეჭდ მანქანაზე იძებნდება, მაგრამ ფულს ქმნის საბანკო სისტემა. განვიხილოთ კონკრეტული შემთხვევა და დავადგინოთ, თუ როგორ იქნება ფული ნაწილობრივი დარეზერვების სისტემის პირობებში.

ბანკები რიგითობით, ნომრების მიხედვით დაგნომოთ, პირველი ბანკი, მეორე ბანკი, მესამე ბანკი და ა.შ. დავუშვათ, რომ ბანკებს გადაწყვეტილი აქვთ, რომ დეპოზიტების 10% შეინახონ, დანარჩენი კი გაასესხონ. ამ შემთხვევაში ვიტყვით, რომ რეზერვის ნორმა 10%-ის ტოლია. დავუშვათ, რომ მოლიან ეკონომიკაში, რომელსაც ეს ბანკები ემსახურებიან 100 დოლარი მოძრაობს და ეს ასევე დოლარი დეპოზიტარმა პირველ ბანკში შეიტანა. პირველმა ბანკმა მიიღო ნაღდი ფული, 10% დაარეზერვა, ხოლო დარჩენილი 90 დოლარი სესხად

გასცა. პირველი ბანკის ბალანსს თუ შევხედავთ, მისი აქტივებისა და ასეივების ნაწილი ასეთი სახის იქნება:

აქტივები	ვალდებულებები
რეზერვები - 10 დოლარი	დეპოზიტები - 100 დოლარი
სესხები - 90 დოლარი	

პირველ ბანკს ისევ 100 დოლარის ვალდებულება აქვს, ვინაიდან სესხების გაცემამ არ შეცვალა ბანკის ვალდებულებები მისი დეპოზიტების წინაშე. ამავდროულად ბანკს ორი სახის აქტივი აქვს: 10 დოლარის რეზერვი საცავში და 90 დოლარის სესხები. მთლიანობაში პირველი ბანკის აქტივები ისევ მისი ვალდებულებების ტოლია. შევხედოთ, თუ რა მოხდა ეკონომიკაში ფულის მიწოდების მხრივ. პირველი ბანკის მიერ სესხის გაცემამდე, დეპოზიტზე იღო 100 დოლარი, შესაბამისად, ეკონომიკაში ფულის მიწოდება იყო 100 დოლარი (ზოგადად, მთლიანად ეკონომიკაში ფულის რაოდენობა ნაღდი ფულისა და ბანკში ანგარიშებზე არსებული თანხების ჯამია). მაგრამ როდესაც პირველი ბანკი სესხის გაცემას იწყებს, ფულის მიწოდება იზრდება. დეპოზიტების ანგარიშებზე ისევ 100 დოლარი ინახება, მაგრამ ამჯერად მსესხებლებს აქვთ ასევე ბანკიდან ნახესხები 90 დოლარი ნაღდი ფულის სახით. ჩვენს მიერ განხილულ მოდელში ეკონომიკაში გაიზარდა ფულის რაოდენობა 90 დოლარით, ფულის მიწოდება უდრის 190 დოლარს. ანუ ამოქმედდა ფულის შექმნის მქანიზმი – როდესაც ბანკები რეზერვში დეპოზიტების მხოლოდ ნაწილს ინახავენ, ამით ისინი ფულს ქმნიან.

თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბანკი ჯადოსნური ჯოხის მოქნევით არაფრისგან ფულს არ აკეთებს. დეპოზიტის ნაწილობრივი დარეზერვებისა და შემდგომი გასესხების გზით თითოეულ შექმნილ ფულის ერთეულს უკან შესაბამისი ვალდებულება მოჰყვება. ამიტომ არის, რომ ცუდად გაცემული სესხების დიდი რაოდენობა საბოლოო ჯამში კრიზისს იწვევს – შესაბამისი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უფასურდება ის ფულიც, რომელიც ამ ვალდებულების წარმოქმნის შედეგად შეიქმნა.

ფულის შექმნა მხოლოდ პირველი ბანკით არ ამოიწურება. დაგუშვათ, პირველი ბანკის მსესხებელი 90 დოლარს იყენებს, რათა ვინმესგან რამე იყიდოს, ვინც თავის მხრივ, ამ ფულს მეორე ბანკში დეპოზიტზე განათავსებს. ფულის შექმნის პირველი ბანკის ანალოგიური მოდელის მიხედვით წარიმართება მოვლენები მეორე ბანკშიც, ვინაიდან მეორე ბანკსაც სესხების გაცემიდან მიღებული შემოსავლები უნდა. მეორე ბანკი 10%-ს დაარეზერვებს, დანარჩენ

თანხას კი გაასესხებს. მეორე ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების უწყისს შემდეგი სახე ექნება:

აქტივები	ვალდებულებები
რეზერვები - 9 დოლარი	დეპოზიტები - 90 დოლარი
სესხები - 81 დოლარი	

როგორც ხედავთ, 81 დოლარის გასესხებით, მეორე ბანკმა ფულის მიწოდება ეკონომიკაში 81 დოლარით გაზარდა. ანუ ჯამური ფულის მიწოდება უკეთ შეადგენს: პირველი ბანკის დეპოზიტზე არსებულ 100 დოლარს, მეორე ბანკის დეპოზიტზე არსებულ 90 დოლარს და ამავე ბანკის მიერ გასესხებულ 81 დოლარს, რომელიც ეკონომიკაში ნადიო ფულის სახით შევიდა, სულ ჯამში 271 დოლარი. აქევე ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ფულის მიწოდების ზრდასთან ერთად, უშაულოდ ნადიო ფული ეკონომიკაში მცირდება, რადგან საბოლოო ჯამში მთლიანი ფული ბანკების რეზერვებში დაილექტა და საჭირო იქნება ახალი ნადიო ფულის შეშვება ეკონომიკაში. აქევე მარტივი მათემატიკური გათვალებით შეგვიძლია დავადგინოთ, რომ 10%-იანი მინიმალური რეზერვის სისტემის პირობებში, ყოველი 100 დოლარი 1000 დოლარს მიწოდებას შექმნის. თუ ავჯამავთ თანამიმდევრობით ყველა ბანკში შეტანილ დეპოზიტსა და გაცემულ სესხს. ფულის იმ რაოდენობას, რომელსაც საბანკო სისტემა ქმნის რეზერვების თითეული დოლარიდან, ფულადი მულტიპლიკატორი ეწოდება. ზემოთხსნებულ მაგალითში, სადაც 100 დოლარი – 1000-ს ქმნის, ფულადი მულტიპლიკატორი 10-ის ტოლია.

ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს თუ რამდენად მნიშვნელოვანი როლი აქვს საბანკო რეზერვებს ფულის შექმნის და ზოგადად ეკონომიკაში ფულის მიწოდების მხრივ. ფედერალური სარეზერვო სისტემა აღნიშნული რეზერვების მართვის სტრუქტურას წარმოადგენს, რადგან აშშ-ის კომერციული ბანკები (ადსანიშნავია, რომ შტატის დონის მცირე ბანკები არ არიან ვალდებული გაწევრიანებული იყვნენ ფედერალურ სარეზერვო სისტემაში), მიღებული დეპოზიტებიდან დარეზერვებულ თანხებს ფედერალურ სარეზერვო ბანკებში ინახავენ. კომერციული ბანკების რეზერვებზე ზემოქმედებისთვის ფსეს-ს რამდენიმე ინსტრუმენტი გააჩნია, რაც ამავდროულად ეხმარება მას მონეტარული პოლიტიკის გატარებაშიც.

წინა თავებიდან ნათლად გამოჩნდა, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემა პასუხს აგებს ეკონომიკაში ფულის მიწოდების კონტროლზე. როგორც ვნახეთ კომერციული ბანკები ეკონომიკაში ქმნიან ფულს

მულტიპლიკატორის ეფექტის საშუალებით. კომერციული ბანკების მიერ ფულის შექმნას ფედერალური სარეზერვო სისტემა არაპირდაპირ აკონტროლებს. როდესაც ფედერალური სარეზერვო სისტემა იღებს გადაწყვეტილებას ფულის მიწოდების შეცვლის თაობაზე, მან წინასწარ უნდა განსაზღვროს, როგორ იმოქმედებს ამ გადაწყვეტილების შესრულება საბანკო სისტემაზე.

ფედერალური სარეზერვო სისტემის განკარგულებაშია მონეტარული კონტროლის სამი ინსტრუმენტი: ოპერაციები და ბაზარზე, სარეზერვო მოთხოვნები და დისკონტის განაკვეთი. ამ სამი ინსტრუმენტის საშუალებით ფსს ზემოქმედებს ფინანსურ ბაზარზე და ატარებს შემუშავებულ მონეტარულ პოლიტიკას.

ოპერაციები და ბაზარზე. ფედერალური სარეზერვო სისტემა ახოციელებს ოპერაციებს და ბაზარზე, სამთავრობო ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვის საშუალებით. ფსს-ს ჰყავს სპეციალური ბროკერები, რომლებთანაც იგი თანამშრომლობს და რომლებიც ვაჭრობენ ბირჟაზე ფსს-ს მითითებების შესაბამისად, თუმცა ყოველ კონკრეტულ გარიგებაში მოქმედებენ თავისუფალი ბაზის პრინციპებიდან გამომდინარე. ამ გაგებით ჩვეულებრივი კომერციული ორგანიზაციების ბროკერებისგან არ განსხვავდებიან. ფულის მიწოდების გაზრდისთვის, ფედერალური სარეზერვო სისტემა სამთავრობო ობლიგაციებით მოვაჭრებს ნიუ-იორკის ფედერალურ ბანკში ავალებს ობლიგაციების ყიდვას ქვეყნის ობლიგაციათა ბაზარზე. ის ფული, რომელსაც ფედერალური სარეზერვო სისტემა ობლიგაციებში იხდის, მიმოქცევაში არსებული დოლარების რაოდენობას ზრდის. ამ ფულის ნაწილი ნაღდი ფულის სახეს იღებს, ნაწილი კი საბანკო დეპოზიტებზე ინახება. თითეული ახალი დოლარი ნაღდი ფულის სახით, ბუნებრივია, ფულის მიწოდებას ზრდის ზუსტად 1 დოლარით. საბანკო ანგარიშზე შენახული თითეული ახალი დოლარი ფულის მიწოდებას უფრო მეტად ზრდის, ვინაიდან ის ზრდის რეზერვებს და, ძეგლის გამომდინარე, იმ ფულის რაოდენობას, რომლის შექმნაც შეუძლია საბანკო სისტემას.

ფულის მიწოდების შესამცირებლად ფედერალური სარეზერვო სისტემა პირიქით იქცევა: ობლიგაციებს ყიდის ქვეყნის ობლიგაციათა ბაზარზე. საზოგადოება ამ ობლიგაციების შესაძენად იყენებს როგორც ნაღდ ფულს, ისე საბანკო დეპოზიტებს, რაც პირდაპირ ამცირებს მიმოქცევაში მყოფ ფულის რაოდენობას. ამას გარდა, ადამიანებს ბანკებიდან საკუთარი დეპოზიტები გამოაქვთ, რაც ბანკების რეზერვების მოცულობას ამცირებს. ამის საბასუხოდ, ბანკები ნაკლებ სესხებს გასცემენ, და ფულის შექმნის პროცესი მიმართულებას იცვლის.

ოპერაციები დია ბაზარზე იოლი სამართავია. ქვეყნის ობლიგაციათა ბაზარზე ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ განხორციელების ყიდვა-გაფიდვა იმ გარიგებების მსგავსია, რომლის განხორციელებაც ნებისმიერ ინდივიდს შეუძლია საკუთარი პორტფელისთვის. ამას გარდა ფედერალურ სარეზერვო სისტემას შეუძლია ნებისმიერ დღეს, კანონებისა თუ საბანკო სისტემის ფუნქციონირების წესების მნიშვნელოვანი შეცვლის გარეშე, დია ბაზარზე ოპერაციების განხორციელება ფულის მიწოდების მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო ცვლილების მიზნით. ამიტომ ოპერაციები დია ბაზარზე მონეტარული პოლიტიკის ის ინსტრუმენტია, რომელსაც ფედერალური სარეზერვო სისტემა ეველაზე ხშირად იყენებს.

ფსს-ს მიერ დია ბაზარზე გატარებული ოპერაციების გააზრებისას, აუცილებელია გავითვალისწინოთ თუ რა მეთოდით ხდება ნადიო ფულის შეშვება ეკონომიკაში. ყოველთვის როდესაც ფედერალური სარეზერვო სისტემა გადაწყვეტს ფულის მასის გაზრდა, ის არ უკვეთავს ამერიკის ხაზინას დამატებითი ფულის ერთეულის მოჭრას და შემდგომ ამ თანხით არ პირდაპირი შექნის გზით არ ყიდულობს სახელმწიფო ობლიგაციებს. მეტიც სახელმწიფოსა და ფედერალურ სარეზერვო სისტემას აკრძალული აქვთ პირდაპირ ერთმანეთთან ფულითა და სახელმწიფო ობლიგაციებით ვაჭრობა. მხოლოდ ამერიკელ ხალხს შეუძლია იყიდოს ამერიკის სახელმწიფო ვალის დამადასტურებელი მოწმობა პირდაპირ სახელმწიფოსგან, შემდგომი მისი რეალიზაცია უკვე თითოეულ მყიდველზეა დამოკიდებული. სახელმწიფო ყიდის ობლიგაციებს დია ბაზარზე, რომელსაც ჩვეულებრივი მოქალაქეები და კერძო სტრუქტურები ყიდულობენ, უკვე შემდგომ ფსს მათგან ყიდულობს სახელმწიფო ობლიგაციებს. ამერიკის მთავრობასა და ფედერალურ სარეზერვო სისტემას შორის ვაჭრობისას შეამავალი აუცილებლად თავისუფალ ბაზარზე მოქმედი ორგანიზაციები უნდა იყვნენ, რათა არ მოხდეს თავისუფალი ბაზრის პრინციპების დარღვევა და საზოგადოება ჩართული იყოს მთავრობასა და ფსს-ს შორის მიმდინარე გარიგებებში.

ასეთი სისტემის პირობებში, არც ფსს-ს და არც ამერიკის მთავრობას ცალმხრივად სახელმწიფო ობლიგაციებზე ან ნადიო ფულზე მოთხოვნის გაზრდა არ შეუძლია, რადგან ხელოვნურად წარმოშობილ დეფიციტის დროს თავისუფალი ბაზარი შესაბამის რეაგირებას მოახდენს და ვერც ერთი მხარე მოგებული ვერ გამოვა.

სარეზერვო მოთხოვნები. ფედერალური სარეზერვო სისტემა ფულის მიწოდებაზე გავლენას ახდენს სარეზერვო მოთხოვნების მეშვეობით, რომლებიც გულისხმობენ რეზერვის იმ მინიმალური

დონეს, რომელიც ბანკებმა დეპოზიტებზე უნდა შეინახონ. სარეზერვო მოთხოვნები განსაზღვრავენ იმას, თუ რამდენი ფულის შექმნა შეუძლიათ ბანკებს რეზერვების თითეული დოლარიდან. სარეზერვო მოთხოვნების გაზრდა გულისხმობს, რომ ბანკებმა მეტი რეზერვები უნდა შეინახონ და ამიტომ, დეპოზიტებზე შენახული თითეული დოლარის ნაკლები ნაწილი უნდა გაასესხონ. ამის შედგად იზრდება რეზერვის ნორმა, მცირდება ფულადი მულტიპლიკატორი და მცირდება ფულის მიწოდება. ამის საწინააღმდეგოდ, სარეზერვო მოთხოვნების შემცირების შედეგად მცირდება რეზერვის ნორმა, იზრდება ფულადი მულტიპლიკატორი და იზრდება ფულის მიწოდება.

ფედერალური სარეზერვო სისტემა სარეზერვო მოთხოვნებს იშვიათად იყენებს, ვინაიდან ხშირი ცვლილებები საბანკო საქმიანობაზე უარყოფით ზემოქმედებას ახდენს. მაგალითად, როდესაც ფსს სარეზერვო მოთხოვნებს ზრდის, ზოგიერთი ბანკისთვის ეს დამდუშველი ხდება, რადგან ამით მისი რეზერვი იწურება, იმის მიუხედავად, რომ დეპოზიტების რაოდენობა არ შეცვლილა. შედეგად, ბანკები იძულებულნი არიან შეამცირონ კრედიტების გაცემა მანამ, სანამ ახალი მოთხოვნების შესაბამის რეზერვებს არ დააგროვებს.

დისპონტის განაკვეთი. ფედერალური სარეზერვო სისტემის კიდევ ერთი ინსტრუმენტია დისპონტის განაკვეთი. ეს არის სარგებლის განაკვეთი იმ სესხებზე, რომელთაც ფედერალური სარეზერვო სისტემა ბანკებს გამოუყოფს. ბანკი ფედერალური სარეზერვო სისტემისგან სესხს იღებს მაშინ, როდესაც სარეზერვო მოთხოვნების შესრულებისთვის საკუთარი რეზერვების გაზრდა სურს. ამის მიზანი შეიძლება იყოს კომერციული ბანკის მიერ დიდი მოცულობის სესხის გაცემა ან ბოლო პერიოდში ბანკიდან მოჭარბებული დეპოზიტების გადინება. როდესაც ფედერალური სარეზერვო ბანკი კომერციულ ბანკს ასეთ სესხს აძლევს, საბანკო სისტემის რეზერვები იზრდება, ეს კი კონომიკაში მეტი ფულის შექმნის საშუალებას იძლევა.

ფედერალურ სარეზერვო სისტემას შეუძლია ფულის მიწოდების შეცვლა დისკონტის განაკვეთის შეცვლის გზით. დისკონტის განაკვეთის ზრდა ამცირებს საბანკო სისტემების რეზერვების რაოდენობას, რადგან სულ უფრო ნაკლები კომერციული ბანკი მიაკითხავს სარეზერვო ბანკს სესხის მოთხოვნით, გაზრდილი საპროცენტო განაკვეთის პირობებში. შესაბამისად კომერციული ბანკები ნაკლებად შეაცემენ საკუთარ რეზერვებს და ბუნებრივია, ნაკლებ სესხებსაც გასცემენ, რაც, თავის მხრივ, ფულის მიწოდებას შეამცირებს. პირიქით, დისკონტის განაკვეთის შემცირება კომერციულ ბანკს ფედერალური სარეზერვო სისტემისგან სესხის აღებისკენ უბიძებებს, ზრდის რეზერვების რაოდენობას და ფულის მიწოდებას.

სესხებს ფედერალური სარეზერვო სისტემა არა მხოლოდ ფულის მიწოდების კონტროლისთვის იყენებს, არამედ როგორც მდგომარებაში მყოფი ფინანსური ინსტიტუტების დახმარებისთვისაც. ბაგალითად, 1984 წელს გავრცელდა ჭორი იმის შესახებ, რომ იღინოსის ბანკმა “კონტინენტალი” დიდი რაოდენობით სარისკო სესხები გასცა. ამ ჭორების შედეგად მრავალმა დეპოზიტარმა თავისი დეპოზიტის გამოტანა გადაწყვიტა. ბანკის გადარჩნის მიზნით, ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ “კონტინენტალს” 5 მილიარდი ასესხა. ანალოგიური სახის, მაგრამ გაცილებით დიდი მასშტაბის სესხების გაცემა მოხდა 2008 წლის ფინანსური კრიზისის პერიოდში აშშ-ის წამყვანი ბანკების გაკოტრებისგან გადასარჩენად.

მიუხედავად იმისა, რომ ფედერალურ სარეზერვო სისტემას, ზემოთ აღნიშნული, სამი ფინანსური ინსტრუმენტის სახით მონეტარულ პოლიტიკაზე მძლავრი ზემოქმედების საშუალება აქვს, ის სრულყოფილად მაინც ვერ აკონტროლებს ფულის მიწოდებას. საქმე იმაშია, რომ არსებობს ორი ფაქტორი, რისი კონტროლიც ფსს-ს არ შეუძლია და პროგნოზიც საქმაოდ მნელი გასაკეთებელია.

პირველი ფაქტორი იმაში მდგომარეობს, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემა ვერ აკონტროლებს იმ ფულის რაოდენობას, რომელსაც საოჯახო მეურნეობები დეპოზიტების სახით ბანკებში ინახავენ. მნელი განსასახლევრია და მითუმეტეს გასაკონტროლებელი, თუ რა დანაზოგს დააგროვებს მოქალაქე და რა ნაწილის შენახვას გადაწყვიტავს ბანკში დეპოზიტზე. მეორეს მხრივ კი, რაც მეტ ფულს შენახავს დეპოზიტზე საოჯახო მეურნეობა, მით მეტია ბანკის რეზერვი და მით მეტი ფულის შექმნა შეუძლია საბანკო სისტემას. ხოლო, რაც უფრო ნაკლებია საოჯახო მეურნეობის მიერ დეპოზიტებზე შენახული თანხა, მით უფრო ნაკლებია ბანკის რეზერვი და მით უფრო ნაკლები ფულის შექმნა შეუძლია საბანკო სისტემას. ანუ ფედერალური სარეზერვო სისტემისგან დამოუკიდებელ ფაქტორს შეუძლია იმოქმედოს ფულის მიწოდებაზე.

მონეტარული კონტროლის მეორე პრობლემა ისაა, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემა ვერ აკონტროლებს იმ თანხებს, რომელთაც ბანკები სესხად გასცემენ. საბანკო დეპოზიტზე შენახული ფული მეტ ფულს ქმნის მხოლოდ მაშინ, როდესაც ბანკი ამ ფულს სესხად გასცემს. კომერციულ ბანკებს შეუძლიათ ფსს-ს მიერ მოთხოვნილ დონეზე მეტი რეზერვები შეინარჩუნონ, რასაც ჭარბი რეზერვები ეწოდება. ასეთ შემთხვევაში კომერციული ბანკები არ ქმნიან შესაბამის ფულის მიწოდებას, რაც ასევე ფსს-სგან დამოუკიდებელი ფაქტორია. მას არ შეუძლია კომერციულ ბანკს

მოსთხოვოს მეტის სესხის გაცემა. აღნიშნული მხოლოდ ამ კომერციული ბანკის ნებით შეიძლება მოხდეს.

ნაწილობრივის რეზერვების საბანკო სისტემის პირობებში, ეკონომიკაში არსებული ფულის რაოდენობა დეპოზიტარებისა და ბანკირების ქცევაზეა დამოკიდებული. ვინაიდან ფედერალურ სარეზერვო სისტემას არ შეუძლია ეს ქცევა გააკონტროლოს ან ზუსტად იწინასწარმეტყველოს, ამიტომ ვერც ფულის მიწოდების სრულ კონტროლს ახერხებს. როდესაც ფსს-ს დროულად იღებს ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში იუნებს თავის ხელთ არსებულ სამ ფინანსურ ინსტრუმენტს, როგორც წესით, პრობლემები ნაკლებად იქმნება. ფედერალური სარეზერვო სისტემა ბანკებიდან ყოველკვირეულად იღებს მონაცემებს დეპოზიტებისა და რეზერვების შესახებ. ამიტომ მისთვის მოკლე დროში ხდება ცნობილი დეპოზიტარებისა და ბანკირების ქცევის ნებისმიერი ცვლილება. შესაბამისად, ფსს-ს შეუძლია დროული რეაგირება მოახდინოს ფულის მიწოდების ნებისმიერ სასურველ დონეზე შესანარჩუნებლად.

ბოლო პერიოდში გამოვლინდა მესამე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ასევე საფრთხეს უქმნის არა მარტო ეკონომიკაში ფულის მიწოდების ნორმალურ პროცესს, არამედ დარტყმის ქვეშ აუენებს მთლიანად ფინანსური სფეროს სტაბილურობას. როგორც აღვნიშნეთ, ფსს-ს არ შეუძლია გააკონტროლოს სესხების რაოდენობა, რასაც ბანკები გასცემენ. 2008 წლის ფინანსურმა კრიზისმა გვაჩვენა, რომ არამარტო გაცემული სესხების რაოდენობა, არამედ მათი ხარისხიც მნიშვნელოვანია. კომერციული ბანკების მიერ გაცემული ცუდი სესხი, ანუ სესხი, რომლის ამოღებაც რისკის ქვეშ დგება. დიდი რაოდენობა გააპრობლემებული სესხების კომერციული ბანკის პორტფელში ზრდის კომერციული ბანკის რეზერვებს, დიდი მოცულობის პრობლემური აქტივი აფერხებს კომერციული ბანკის მიერ ახალი სესხების გაცემის პროცესს, რაც თავის მხრივ, ფულის მიწოდების შემცირებას იწვევს. აღნიშნულ პრობლემაზე უფრო დეტალურად მომდევნო თავში ვისაუბრებთ.

ფედერალური სარეზერვო სისტემის როლი საერთაშორისო საფინანსო პროცესებში

როგორც აშშ-ის ცენტრალური ბანკი, ფედერალური სარეზერვო სისტემა გარკვეულ როლს ასრულებს საერთაშორისო საფინანსო სფეროში. ფსს-ს მონეტარული პოლიტიკა საპროცენტო განაკვეთზე ზემოქმედების საშუალებით გაფლენას ახდენს დოლარის უცხოურ ვალუტაზე გაცვლის ჯერსზე. გარდა აღნიშნულისა, როდესაც აშშ-ის სახელმწიფო გადაწყვეტს, ინტერვენცია განახორციელოს ვალუტის

საერთაშორისო ბაზრებზე, ოპერაციების უშუალო წარმმართველად ფედერალური სარეზერვო სისტემა გვევლიება.

უცხოურ გალუგასთან დოლარის კურსი, აშშ-ის მთავრობის მნიშვნელოვან საზრუნვას წარმოადგენს, რადგან ეს პროცესიაზე და ფინანსურ ინსტრუმენტებზე გავლენას ახდენს. კურსის მოულოდნელმა ცვლილებამ შესაძლოა ქვეყნის ბაზრისა და ფინანსური სისტემის სიჯანსაღეზე იმოქმედოს. მაგალითისთვის, თუ იაპონური იენის ღირებულება გაიზრდება დოლართან მიმართებაში, აშშ-ის ექსპორტირებული საქონელი გაიაფდება იაპონელი მყიდველებისთვის, აღნიშნულმა ფაქტორმა, შესაძლოა, გაზარდოს ამერიკის ექსპორტი იაპონიაში და ხელი შეუწყოს დასაქმებას აშშ-ში. ამავე დროს, დოლარის შემცირებამ იაპონური იენთან მიმართებაში, შესაძლოა, გაზარდოს აშშ-ში იაპონური პროდუქციის ფასი, რამაც აშშ-ში ინფლაციური მოვლენები შეიძლება გამოიწვიოს.

სხვადასხვა ქვეყნებში ფულად რესურსებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა სავალუტო ბაზრებზე დიდ გავლენას ახდენს. ფული ინვესტიციების სახით შეედინება იმ ქვეყნებში, რომლებშიც საპროცენტო განაკვეთი შედარებით მაღალია. უცხოური ვალუტის ჭარბი რაოდენობა კი ამ ქვეყნის ვალუტას პოზიციებს უმაგრებს საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე. აშშ-ში საპროცენტო განაკვეთს ფედერალური სარეზერვო სისტემა აკონტროლებს, შესაბამისად მას ირიბი კონტოლრის მექანიზმი აქვს ქვეყანაში შემოდინებულ თუ გადინებულ ინვესტიციებზეც უცხოურ ვალუტაში, რაც ფსს-ს ზემოქმედების საშუალებას აძლევს ვალუტის საერთაშორისო ბაზრებზე.

როგორც ქნახეთ, აშშ-ის მთავრობა საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე ინტერვენციას ფსს-ს მეშვეობით ანხორციელებს. მიუხედავად იმისა, რომ კონგრესმა აშშ-ის საერთაშორისო საფინანსო პოლიტიკაზე პასუხისმგებელ ორგანოდ აშშ-ის ხაზინა განსაზღვრა, ეს უკანასკნელი, თითქმის ყველა ქმედებას ფედერალურ სარეზერვო სისტემასთან ათანაბეჭდს. უშუალოდ ფულადი მოპრაციების წარმოება კი ნიუ-იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკის მეშვეობით ხორცილებება. უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში დოლარის ფასის მხარდასაჭერად, ნიუ-იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკი ყიდულობს დოლარს უცხოური ვალუტის საშუალებით და, საპირსპიროდ, როდესაც დოლარის ფასის შემცირება სურთ, დოლარით უცხოურ ვალუტას იძენს, რათა მეტი დოლარი გამოვიდეს ბრუნვაში. უცხოური ვალუტა შესაძლოა გახარჯულ იქნას, საკუთრივ ფედერალური სარეზერვო სისტემის საცავებიდან ან ხაზინის გაცელით კურსის სტაბილიზაციის ფონდებიდან. ხშირ შემთხვევაში,

უცხოური ვალუტის შეძენა ან გაყიდვა შეთანხმებულია შესაბამისი ქვეყნის ცენტრალურ ბანკთან.

უკანასკნელ პერიოდში ფედერალური სარეზერვო სისტემის ჩარევა უცხოური ვალუტს ბაზრებზე სულ უფრო გამჭვირვალე გახდა. ფსს-ს მიერ ოპერაციის განხორციელების შემდეგ, მოკლე ვადაში ხაზინის უფროსი ოფიციალურად ადასტურებს, ხოლმე ვალუტის ბაზარზე ინტერვენციას.

ფედერალური სარეზერვო სისტემა აქტიურად ურთიერთობს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან. მათ კოორდინაცია აქვთ, როგორც მსოფლიო ბანკთან, ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდთან. ისინი ყოველთვის საქმის ჯერსში არიან მსოფლიოში მიმღინარე ტენდენციებთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ უმეტესობა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და ასევე ქვეყნების ფინანსური რესურსების ძირითადი ნაწილი ინახება აშშ დოლარში, ანუ მსოფლიოს საფინანსო სფეროს დოლარიზაციის დონე საფარი მაღალია. მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით ეს გარემოება დიდ საფრთხეს ქმნის, რადგან მსოფლიო ეოკომიქას მეტისმეტად დამოკიდებულს პედის დოლარის კურსზე და შესაბამისად აშშ-ის ეკონომიკაზე.

უცხოურ ოფიციალურ ორგანიზაციებს, შეუძლიათ ანგარიში გახსნან ფსს-ში და განათავსონ იქ, როგორც ძვირფასი ლითონები ასევე ვალუტა. ფსს-ს გააჩნია მსოფლიოში ყველაზე დიდი ოქროს საცავი, ნიუ-იორკში და ფორტ ნოქსში, კენტუკის შტატი. ანგარიშზე განთავსებული თანხები, ორგანიზაციებმა შეიძლება გამოიყენონ აშშ-ის მთავრობის ფასიანი ქაღალდების შესაძენად ან სხვა სფეროებში ინვესტიციისთვის. მათ ფინანსურ აგენტად, ამ შემთხვევაში ნიუ-იორკის ფედერალური ბანკი გამოდის, თუმცა ფსს-ს არც ერთ აღნიშნული ტიპის კლიენტს, ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებში კონსულტაციას არ უწევს. ეს უკანასკნელი ფაქტი შეიძლება მივიჩნიოთ ფსს-ს ნეიტრალური პოზიციის გამოხატულებად, რათა საკუთარი კონსულტაციით თვალის და, უნდა ვრად თავისუფალი ბაზრის პროცესში არ ჩაერიოს.

ფედერალური სარეზერვო სისტემა ვალდებულია აკონტორლის უცხოური ბანკების ფილიალები აშშ-ის ტერიტორიაზე. ის ახორციელებს აღნიშნული ფილიალების ფინანსური მდგომარეობის ზედამხედველობას, ასევე ითხოვს შესაბამის დოკუმენტაციას მათი სათაო ოფისებიდანაც, რათა შემოწმდეს არა მარტო აშშ-ის ტერიტორიაზე მოქმედი ფილიალის, არამედ მთლიანდ ბაზის ფინანსური მდგომარეობა. აშშ-ის ტერიტორიაზე არსებული ფილიალის საქმიანობაში დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, ფსს-ს სხვადასხვა

ზომებს იდებს (დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე), დაწყებული ყველაზე მსუბუქიდან – გაფრთილების წერილის გაგზავნა სათაო ოფისში ქვეყნის გარეთ, სადაც მითითებულია დარღვევა და მოთხოვნილია დარღვევის გამოსწორების ვადები. დამთავრებული ფილიალის საქმიანობის შეწყვეტით.

ფედერალურ სარეზერვო სისტემას მჭიდრო კავშირი აქვს სხვა ქვეყნის ცენტრალურ ბანკებთან. მათი წარმომადგენლებისთვის იგი ყრველწლიურად მართავს სემინარებს, სადაც გამოცდილების გაზიარება ხდება. ფსს-ს პრაქტიკაში აქვს ასევე სპეციალისტების მივლინება სხვადასხვა ქვეყნებში, რათა ადგილზე მოახდინონ დახმარება მათ შორის ტექნიკურ საკითხებშიც.

2008 წლის ფინანსურმა კრიზისმა აჩვენა თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეყნების საფინანსო სფეროს მარგებულირებელთა კოორდინირებული მუშაობა და დროული ინფორმაციის გაცევლა, რათა სამომავლო კრიზისები თავიდან იქნეს აცილებული ან მოხდეს მათი უარყოფითი შედეგების მინიმიზირება.

ფედერალური სარეზერვო სისტემა გლობალური ეკონომიკური კრიზისის პერიოდში

2007-2008 წლებში დაიწყო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც პირველ რიგში აშშ-ის საფინანსო სფერო მოიცვა. 2007 წელს დაწყებული ე.წ. იპოთეკური კრიზისი სწრაფად გადაიზარდა დრმა საფინანსო და შემდგომ უკვე მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისში. საინტერესოა განვიხილოთ თუ რა მონეტარულ პოლიტიკას ატარებდა ამ დროს ფედერალური სარეზერვო სისტემა და რა დონისძიებებს მიმრთავდა კრიზისის თავიდან ასაცილებლად ან მისი შედეგების შესამსუბუქებლად. კრიზისული პერიოდები გამოცდაა, რომლის ჩაბარებაც ყველა ორგანიზაციულ სტურქტურას უწევს. ერთ-ერთი ასეთი ტესტი ფსს-სთვის ამჟრიკიდან დაწყებული გლობალური ეკონომიკური კრიზისი აღმოჩნდა.

გლობალური ეკონომიკური კრიზისს წინ უსწრებდა ფინანსური კრიზისი აშშ-ში, რომელიც თავის მხრივ, 2006 წელს დაიწყო, ამერიკის იპოთეკური სესხების ბაზრის ჩავარდნის შემდეგ. ჯერ კიდევ 2005 წლის განმავლობაში ეკონომისტები აღნიშნავდნენ, რომ ზოგიერთი კომერციული ფინანსური სტრუქტურა, ხებსით თუ უნებლივო, ხელს უწყობდა ე.წ. “საპნის ბუშტის” გაბერვას და მსგავსი ბუშტები საქმაოდ მრავლად იყო იმდროინდელ აშშ-ის ეკონომიკაში.

ხელოვნურად გაბერილი აქტივების “საპნის ბუშტის” შედარება მხატვრულ მეტაფორას წარმოადგენს, მაგრამ მოვლენის განვითარება ორივე შემთხვევაში მსგავსია. საპნის ბუშტი იბერება და შემდეგ

უეცრად, ისე რომ ამის წინასწარ გათვლა ძალიან ძნელია, სკდება. ასევე არის „საპნის ბუშტი“ ფინანსურ ბაზარზეც, რაღაც პერიოდის განმავლობაში ხდება გადამეტებული რაოდენობით სესხების ან სხვა ფინანსური ინსტრუმეტების საშუალებით ზედმეტი თანხის შეშვება ექონომიკაში, მაგრამ როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, ფულის შექმნა შუექლებელია ვალდებულების წარმოქმნის გარეშე, ასე რომ ერთი მხრივ, იზრდება ფულის მასა ეკონომიკაში, რაც ინფლაციურ მოვლენებს უწყობს ხელს, მაგრამ რაც მთავარია, ასევე იზრდება ვალდებულებები, რომლის სულ უფრო მეტი ნაწილი ხდება შეუსრულებადი. ერთ დღესაც გაპერილი და შეუსრულებელი ვალდებულებების მოცულობა იმდენად იზრდება, რომ ფინანსური ორგანიზაცია ვეღარ აუდის ზარალს და კოტრდება, ანუ „საპნის ბუშტი“ სკდება.

როგორ წესი, ორგანიზაციების ამგვარი ფინანსური კრახი მყისიერად ვითარდება, ამიტომაც ადარებენ ხოლმე საპნის ბუშტის გახეთქვას. კომერციული ბანკის ან სხვა ფინანსური ორგანიზაციის გაკოტრება, ერთოროულად რამოდენიმე უარყოფით ფაქტორს ქმინს ეკონომიკისთვის, რასაც საბოლოო ჯამში კრიზისისკენ მივყავართ. პირველ რიგში, აღნიშნული ფირმის გაკოტრება ზრდის უმუშევრობის დონეს, არყვეს დეპოზიტარებისა და ბანკის საკრედიტო პარტნიორების რწმენას ზოგადად ფინანსური სექტორის მიმართ, რაც მძლავრი კრიზისების დროს, საყოველთაო უნდობლობას იწვევს, ეს კი თავის მხრივ, ზემოქმედებას ახდენს ფინანსურ სექტორში ჩადგებულ ინვესტიციებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური კრიზისები მართლაც არაპროგნზირებადია, შესაბამისი დაკვირვების შედეგად აუცილებლად აღმოვაჩენთ, რომ ყველა კრიზის წინ გარკვეული წანამდგრები აქვს, რის მიხედვითაც შესაძლებელია ვიწინასწარმოებულებით მისი დაწყება.

განვიხილოთ აშშ-ის მაგალითი და ფედერალური სარეზერვო სისტემის ქმედებები, 2008 წლის კრიზისის დროს. თუ როგორ დაიწყო კრიზისი და რა ზომებს მიმართა ფსს-შ. შესძლო თუ არა წინასწარ განვეჭრიბა მოახდოვებული მოვლენები და მიიღო თუ არა პრევენციული ზომები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2006 წელს აშშ-ში იპოთეკური კრიზისი დაიწყო, რაც უძრავი ქონების შესაძენად (მხედველობაშია როგორც ოჯახისთვის, ასევე კომერციული დანიშნულების უძრავი ქონების შეძენა) გაცემული სესხების მასიური გაპრობლემების [სესხი რომლის დაბრუნებაც სესხის ამდებისთვის პრობლემას წარმოადგენს, მისი შემთხვევაში შემცირების ან საერთოდ გაქრობის გამო. ასეთ

შემთხვევებში გამსესხებელი ორგანიზაციისთვის სესხის დაბრუნების ერთადერთ წეაროს ჩადებული გირაოს რეალიზაცია წარმოადგენს.] შედეგი იყო. კლიენტები, რომლებიც უძრავი ქონების შესაძენად იღებდნენ სესხებს, მათ დაბრუნებას ვედარ ახერხებდნენ.

ბევრი ექსპერტის აზრით, აღნიშნული მდგრამარეობა სწორედ ფედერალური სარეზერვო სისტემის ბრალი იყო, რომელმაც აღან გრინსაემის მმართველობის პერიოდში შეასუსტა კომერციული ბანკების კონტროლი და ამავდროულად დაწია კომერციულ ბანკებზე გაცემული ფსს-ს კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი. ამ ფაქტორებმა, რა თქმა უნდა, კომეციულ ბანკებს ხელები გაუსხნა, რათა ორიენტაცია აეღოთ უფრო მეტი მოგების მიღებაზე და შესაბამისად, ბანკებმა სესხების გაცემა განსაკუთრებით გააქტიურეს.

2007 წლის დეკემბრისთვის შეიქმნა სიტუაცია, როდესაც კომერციული ბანკების უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების პროფესიული მასიურად მოექცა მაღალი რისკის ქვეშ, ანუ პროფესიული არსებული მსესხებლების სულ უფრო მეტი რაოდენობა ვერ იხდიდა ყოველთვიურ შენატანს. ასეთ სიტუაციაში ბანკები, ბუნებრივია, გააქტიურდნენ სესხების ამოღების მიმართულებით. დაიწყო უზრუნველყოფაში ჩადებული უძრავი ქონებების რეალიზაცია დაგალიანების დაფარვის მიზნით.

ზემოთ აღნიშნული მეთოდი, რა თქმა უნდა, სრულიად ლოგიკური გამოსავალია შექმნილი სიტუაციიდან გამოსასვლელად, მაგრამ მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში, გრძელვადიან პერიოდში კი, როგორც შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახა, კატასტროფული შედეგის მომგანია. საქმე იმაშია, რომ ამერიკის უძრავი ქონების ბაზრებზე მასიურად გამოტანილმა უზრუნველყოფებმა (პრობლემური სესხის გირაოში არსებულმა უძრავმა ქონებამ) სულ მოკლე ვადაში უძრავი ქონების ბაზარზე მიწოდება გაზარდა, მოთხოვნა კი იგივე დონეზე დარჩა. თავისუფალი ბაზრის ელემენტარული, მოთხოვნა-მიწოდების კანონიდან გამომდინარე, ზედმეტად მიწოდებული საქონლის ფასში კლება დაიწყო, ანუ აშშ-ში უძრავ ქონებაზე ფასები კატასტროფულად დაეცა.

ერთი შეხედვით, შესაძლებელია ვიფიქროთ, რა პრობლემა შეიძლება იყოს უძრავი ქონების ფასის კლებაში, პირიქით, ხომ შესაძლებელია ეს სტიმულიც კი იყოს ეკონომიკისთვის, რადგან ბიზნესმენებს მეტი კომერციული ფართის შეძენა შეუძლიათ. მაგრამ არის მეორე მხარეც, რამაც ისედაც პრობლემებში მყოფ კომერციულ ბანკებს უფორ დიდი თავსატეხი გაუზინა.

გარდა გაპრობლემებული სესხებისა, რომელიც კომერციული ბანკების ხარჯებს ზრდიდა, მათ აღმოაჩინეს, რომ მათი ჯანსაღი

პორთფელიც რისკის ქვეშ აღმოჩნდა. მსესხებლებს, რომლებიც პატიოსნად იხდიდნენ სესხებს, ასევე უძრავი ქონება ჰქონდათ ჩადებული სესხის ასაღებად, რაც მთავარ გარანტიას წარმოადგენდა, რომ ისინი ბანკს სესხს დაუბრუნებენ. უძრავ ქონებაზე ფასების კატასტროფული ვარდინის პირობებში აღმოჩნდა, რომ მაგალითად, პატიოსან მსესხებლებს, რომელსაც 100 000 აშშ დოლარის ოდენობით სესხი ჰქონდა გამოტანილი, ამავე დირექტულების სახლის შესაძენად და 10 000 აშშ დოლარი უკვე გადახდილი ჰქონდა და შესაბამისად ბანკის ვალი 90 000 აშშ დოლარი რჩებოდა, უძრავი ქონების ბაზარზე განვითარებული მოვლენების გამო, მისი უძრავი ქონება უკვე 70 000 აშშ დოლარზე ნაკლები დირდა. ასეთ სიტუაციაში, კლიენტს მოტივაცია უქრება, რომ სესხი დაფაროს, ბანკი კი წამგებიან მდგომარეობაში ვარდება, რადგან მაქსიმუმი თანხა, რაც მან კლიენტისგან შესაძლებელია მიიღოს მისი უძრავი ქონების რეალიზაციით, ნაკლებია ამ მსესხებლის ბანკისადმი დავალიანებაზე.

თითქოს მარტივი ლოგიკად და ასეთი პრობლემების შექმნის განსაზღვრა შესაძლებელი იყო. საკრედიტო პოლიტიკის კონტოლის გამკაცრებას შესაძლებელია აშშ-სთვის თავიდან აერიდებინა აღნიშვნული სახის პრობლემები.

უპირველესი ვალდებულება საკრედიტო პოლიტიკის სწორად წარმართვაზე ფედერალურ სარეზერვო სისტემას აქვს. დია ბაზრის ფედერალურ კომიტეტზე შეხვედრებისას, ბუნებრივია, ფსს-ს მმართველობა შესაბამის ინფორმაციებს იღებდა იპოთეკურ ბაზარზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, მაგრამ ამას შესაბამისი რეაგირება, 2008 წლის ოქტომბრამდე არ მოჰყოლია, როდესაც კრიზისმა უკვე საყოველთაო ხასიათი მიიღო და გაციელით დიდი მასშტაბის მოქმედებებსაც მოითხოვდა.

როგორც ზევით ვიხილეთ, ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ვერ მოახერხა წინასწარ განვეჭრიტა მოახლებულებით კრიზისი და შესაბამისად ვერ განახორციელა პრევენციული ღონისძიებები, მაგრამ ახლა განვიხილოთ თუ რა მოიმოქმედა უშაულოდ კრიზისი დაწყების შემდგომ და რამდენად უფექტური იყო მისი მოქმედებები.

პირველი გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა ფედერალური დია ბაზრის კომიტეტზე. კრიზისამდე ფსს-ს მირითად სამოქმედო ინსტრუმენტს წარმოადგენდა სახელმწიფო ობლიგაციებით ვაჭრობა, მის პორთფელში აქტივების ძრითადი ნაწილი სახელმწიფო ობლიგაციებისგან შედგებოდა, სხვა ბანკების დავალიანება ფსს-სადმი შედარებით მცირე მოცულობის იყო.

2007 წლის აგვისტოს შემდეგ ფედერალური სარეზერვო სისტემა განსხვავებულად იქცევა. ამ პერიოდიდან ფსს-მ დაიწყო საკუთარი

საქრედიტო რესურსის გამოყენება პრობლემური გირაოების შესაძნად, რათა შექმნილი მომეტებული რისკის ნაწილი გადაენაწილებინა საბუთარ თავზე.

2008 წლის სექტემბერში კი, როდესაც კრიზისის უველაზე მძაფრი ფაზა დაიწყო და საფონდო ინდექსებმა კატასტროფული ვარდნა დაიწყო, ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ რადიკალური გადაწყვეტილება მიიღო, ბაზარზე ნულოვანი საპროცენტო განაპვეთის ფინანსური სახსრები შეუშვა, წინადმდებ შემთხვევაში აშშ ეკონომიკის „გაქვავების“ წინაშე იყო, რადგად უმსხვილესი ბანკები ან გაკოტრდა ან მწვავე ფინანსურ პრობლემებს განიცდიდა და შესაბამისად ფულის შექმნის პროცესის მეტისმეტად შენელებული იყო.

ფსს-ს ძალიან მოკლე პერიოდის განმავლობაში ორი ურთულესი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა – ფინანსური სისტემის მწვავე კრიზისი აშშ-ში და უკვე დაწყებული კრიზის საზღვარგარეთ. საერთაშორისო დონეზე ფსს-ს მთავარი ამოცანა, რა თქმა უნდა, დოლარის იმიჯის დაცვა და მისდამი ნდობის შენარჩუნება იყო, რაც ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენდა.

2007 წლის დეკემბერში ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ორივე პრობლემის ერთდროულად მოსაგვარებლად ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. შეიქმნა Term Auction Facility (TAF), [ფსს-ს მიერ შექმნილი დროებითი პროგრამა, რომელის მიზანიც არის სადეპოზიტო ორგანიზაციებისთვის დახმარების გაწევა, 28-დან 84 დღემდე ვადით შეღავათაიანი სესხების მიცემის გზით] რომელიც კომერციულ ბანკებს ლიკვიდობის პრობლემის დასაძლევად, არა ერთდღიან სესხებს, არამედ ერთ თვიან სესხებს აძლევდა. ამ გადაწყვეტილებამ კომერციულ ბანკებს მეტი დრო მისცა, რათა მოგვარებინათ ლიკვიდობასთან დაკავშირებული პრობლემები. ფსს-ს იაფ რესურსებზე აუქციონი გაწერილი გეგმის მიხედვით მიღიოდა და ტარდებოდა წინასწარ განსაზღვრულ დღეებში.

იგივე ორგანიზაციის ფარგლებში ფსს-ის ვალუტის სპეციალურ გაცვლით ხაზებს ქმნიდა უცხოეთის პარტნიორ ცენტრალურ ბანკებთან, რომლის მეშვეობითაც უცხოური ბანკებისთვისაც ხელმისაწვდომი ხდებოდა ფსს-ის იაფი საკრედიტო რესურსი.

კრიზისის უველაზე მწვავე პერიოდში, რიგ შემთხვევებში, პირდაპირ ფსს-ს გადასაწყვეტი გახდა, თუ რომელ კომერციული ბანკს დახმარებოდნენ და რომელი კომერციული ბანკი მიეტოვებინათ და გაეწირათ გაკოტრებისთვის. მაგალითისთვის 2008 წლის მარტში ფსს-მ დამატებითი რესურსი გამოუყო “ბერ სტერნს” [აშშ-ში 1923 წელს დაფუძნებული საინვესტიციო ბანკი, რომელიც გაკოტრების პირას

დადგა 2008 წლის მარტში.] და მოგვიანებით, “მორგან ჩეისის” მიერ ამ ორგანიზაციის შემქნას ხელი შეუწყო, ხოლო იმავე წლის სექტემბერში ფს-მ უარი უთხოა ერთ-ერთ უმსხვილეს ბანკს “ლემონ ბრაზერს” სესხის გამოყოფაზე და ეს უკანასკნელი იძულებული იყო თვის ბოლომდე თავი გაკოტრებულად გამოცხადებინა.

ზემოთ მოყვანილი ქმედებების მეშვეობით ფს-მ გარკვეულ წილად შესძლო შეევსო დოლარის დეფიციტი, რომელიც კომერციული ბანკების ფინანსური პრობლემების გამო წარმოიშვა. მოკლევადიან პერიოდში ფედერალურმა საერეზერვო სისტემამ ორივე ამოცანას წარმატებით გაართვა თავი და შეინარჩუნა დოლარის საერთაშორისო ვალუტის იმიჯი და შედარებითი სტაბიულრობა შიდა ბაზარზე.

კრიზისული პერიოდში ფს-ს მოქმედებებმა, მისსავე სტრუქტურაზე იქონია გავლენა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თუ აქამდე, მისი აქტივების ნუსხა უმეტესწილად სახელმწიფო ობლიგაციებისგან შედგებოდა და შესაბამისად მისი მოვალე მხოლოდ აშშ-ის მთავრობა იყო, კრიზისის შემდგომ ფს-მ დიდი რაოდენობით სესხები გასცა კომერციულ ბანკებზეც, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. მისი აქტივების შემადგენლობა მთლიანად შეიცვალა, მთავარი მოვალე მარტო აშშ-ის მთავრობა ადარ არის, მოვალეების რიცხვს კომერციული ბანკები და სხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკებიც დაუმატა.

ასეთმა ცვლილებებმა, რა თქმა უნდა, აქტივების მართვის განსხვავებული მოდელის შექმნა მოითხოვა და ფს-ს რეფორმირება ამ მიმართულებით ახლაც მიმდინარეობს.

კრიზისულ პერიოდში ფს-ს მოქმედებებმა საკმაო კრიტიკა დაიმსახურა. ბევრის აზრით, მისი მოქმედებები დაგვიანებული იყო. საზოგადოებაში გადიზიანება გამოიწვია ასევე გადაწყვეტილების მიღების ჩვეულმა დაფარულმა სტილმა. კრიზისული პერიოდის დროს გამართული ფედერალური დია ბაზრის კომიტეტის არც ერთი შეხვედრა და მასზე განხილული კონკრეტული საკითხები, საზოგადოებისთვის დია არ იყო, მხოლოდ მოგვიანებით ვრცელდებოდა ბუნდოვანი ანგარიში, რომლიდანაც დახურულ კომიტეტზე განვითარებულ მოვლენებზე წარმოდგენის შექმნა საკმაოდ ძნელი იყო.

სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა ფს-ს ხელმძღვანელის ბენ ბერნანკეს ვიზიტი კონგრესში, სადაც განიხილებოდა 700 მილიარდი დოლარის ოდენობით კომერციული ბანკების დახმარების საკითხი, რომელიც თავის მხრივ ფედერალურ სარეზერვო სისტემას უნდა გაენაწილებინა. ეს იყო გადასახადის გადამხდელთა თანხები, რომელიც კონგრესმა გამოყო ბანკების გადასარჩენად და ამ

დახმარების გადანაწილება, რა თქმა უნდა, ფსს-ს დაგვალა. კონგრესმენები ცდილობდნენ დაედგინათ თუ ზუსტად რომელი ბანკის გადსასარჩენად გამოიყენებდა ფსს ამ თანხებს და კონკრეტულად რა პერიოდის განმავლობაში გაიხარჯებოდა 700 მილიარდი ლოდარი, რაზეც ბერნანკესგან ზოგადი პასუხი მიიღეს – დავეხმარებით იმ ბანკებს, რომლებსაც ჩვენ გადაწყვეტო, რომ დახმარება სჭირდება და იმ დროს დავეხმარებით, როდესაც ჩავთვლით საჭიროდ.

ზემოხსნებული მაგალითიდან კარგად ჩანს თუ რამდენად ავტონომიურია ფსს გადაწყვეტილებების მიღების დროს, ის არ ითვალისწინებს არც სახელმწიფო და არც კერძო ინტერესებს, მოქმედებს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების საფუძველზე. მაგრამ აქ წარმოიშვება სწორედ ის უმთავრესი კითხვა, რომლის პასუხის გაცემასაც მრავალრიცხოვანი ექსპერტთა და მეცნიერთა ჯგუფი უშედგეოდ ცდილობს – ფედერალური სარეზერვო სისტემა, თავისი არსის მიხედვით, კერძო ორგანიზაციაა თუ საჯარო?

ფედერალური სარეზერვო სისტემა – კერძო თუ საჯარო ორგანიზაცია?

ერთი შეხედვით უცნაურია, როდესაც ისეთი ცნობილი ორგანიზაციის სტატუსი, როგორიც ფედერალური სარეზერვო სისტემაა, გარკვეულ კითხვებს ბადებს, მაგრამ მეორეს მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ კანონში თუ რეგულაციაში, ფსს მოხსენიებული არ არის როგორც სახელმწიფო ორგანიზაცია, მისი სტრუქტურიდან კი გამოკვეთილად არ ჩანს რომელი სექტორის გავლენა სჭარბობს – სახელმწიფო თუ კერძო.

ფედერალური სარეზერვო სისტემის სტრუქტურას თუ გავანალიზებთ მისი მართველი ორგანოს – მმართველთა საბჭოს დანიშნის სისტემის მიხედვით, გამოჩნდება, რომ სახელმწიფო წამყვან როლს ასრულებს მისი მმართველი ორგანოს შექმნისას, რადგან მმართველი ორგანოს შვიდივე წევრს პრეზიდენტის წარდგინებით კონგრესი ამტკიცებს, მაგრამ მეორეს მხრივ, ფსს-ს აქტივების ასივე პროცენტი კერძო კომერციული ბანკების სავალდებულო რეზერვებისგან შედგება. ანუ ფედერალური სარეზერვო სისტემის აქტივებს კერძო ორგანიზაციები ფლობენ, ხოლო მმართველობა მთლიანად მთავრობის მიერ ინიშნება. ამ მხრივ ფსს მფლობელობასა და კონტროლს შორის გამიჯვნის საინტერესო მაგალითს წარმოადგენს.

კონკრეტული მაგალითის თვალსაზრისით თუ მივუდევებით, შემდეგი სახით ჩამოყალიბდება: ბიზნესის სრული წილის მფლობელი

კონტროლს არ ახორციელებს საქაუთარ ბიზნესზე, ასე ვთქვათ, ნებაყოფლობით თმობს კონტროლის უფლებას, რაც რეალურად მოხდა ფედერალური სარეზერვო სისტემის შემთხვევაში. კერძო ბანკებმა ნებაყოფლობით უარი თქვეს თავისი აქტივების ნაწილზე, რომელიც განთავსებულია ფსს-ში.

საინტერესოა თუ რამ გამოიწვია ფედერალური სარეზერვო სისტემის სტრუქტურაში კერძო და სახელმწიფო ინტერესის ასეთი სახით დაბალანსების აუცილებლობა.

წინა თავებიდან ნათლად გამოჩნდა თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ფულის მასის კონტროლს ქვენისთვის და შესაბამისად რა მნიშვნელობა ენიჭება მონებარული პოლიტიკის წარმართვას. აღნიშვნული პოლიტიკის შემუშავებისა და გატარებისას გადაწყვეტილების მიმღებს რეალურად ბეჭვის ხიდზე გავლა უწევს ორ ძირითად მსოფლიმედველობას შორის – კერძო და საჯარო ინტერესს შორის. კერძო ინტერესი იმ კომერციული ორგანიზაციების ინტერესია, რომლებიც ოპერირებენ ფინანსურ ბაზარზე და ფინანსური ტრანზაქციების მეშვეობით ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი მოგება მიიღონ. საჯარო ინტერესს, პოლიტკონსები და სახელმწიფოს მთავრობა წარმოადგენს, რომელიც ხშირად ზედმეტი ფულის დაბჭედვის ცდუნების წინაშე დას, რათა დააფინანსოს სოციალური პროგრამები ან სულაც ახალი წამოწყებული ომები. ცალსახად ერთ-ერთი მიმართულების დომინირება აშკარა უკიდურესობაა, რომლის დროსაც ქვეყანა შეიძლება ფინანსური და შემდგომ უკვე დრმა ეკონომიკურ კრიზისში აღმოჩნდეს.

შესაბამისად, გაჩნდა აუცილებლობა, რომ შექმნილიყო დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც სრულიად დამოუკიდებლად გაატარებდა თავისუფალი ბაზრის კანონებზე დამყარებულ მონეტარულ პოლიტიკას, რაც გარანტიას წარმოადგენს, რომ ქვეყანა არც ერთ უკიდურესობაში არ ჩავარდება.

თვითონ ფსს-ს დამოუკიდებლობის წყაროს წარმოადგეს კონგრესის მიერ მინიჭებული მანდატი, რომლის მიხედვით არც ერთ სახელმწიფო თუ კერძო ავტორიტეტის, მის კომპეტენციაში ჩარგვის საშუალება არ აქვს. მონებარულ პოლიტიკას წარმართავს ორგანო, რომელიც დაკომპლექტებულია, როგორც კერძო ასევე საჯარო სექტორის ინტერესების წარმომადგენელი პირებისგან, რომელთა არჩევისა და დანიშვნის პროპრიციაზეც წინა თავებში ვისაუბრეთ.

მიუხედავად იმისა, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემისთვის მონეტარული პოლიტიკის წარმართვის ექსპლუზიური უფლება სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან სწორედ ეს მინიჭებული უფლება აძლევს მას საშუალებას იმოქმედოს

დამოუკიდებლად, ამავე უფლების გამო მას მეტად მწვავედ აკრიტიკებენ. არსებობს უამრავი “შეთქმულების” თეორია, რომელთა მიხედვით, ფსს-ს ბოროტად სარგებლობს საქუთარი განუსაზღვრელი ძალაუფლებით, რათა მდიდარი ელიტა, რომელთაც ხელთ უპყრიათ ამერიკის ფინანსური ბაზრის სადაცები, კიდევ უფრო გამდიდრდნენ. აღნიშნულ “შეთქმულების” თეორიებს, რა თქმა უდნა, კიდევ უფრო ამწვავებს ფსს-ს აბსოლიტური დამოუკიდებლობა გადაწყვეტილების მიღების დროს და ამავდროულად გადაწყვეტილების მიღების ფარული პროცესი, რაც საგანგებოდ არის შემუშავებული, რათა არავის არ ჰქონდეს საშუალება წინასწარ განკვრიტოს ფსს-ს მოქმედებები და ამით არასამართლიანი უპირატესობა მოიპოვოს კონკურენტებთან შედარებით.

ფედერალური სარეზერვო სისტემის კერძო და სახელმწიფო მმართველობის შერეული ვარიანტი მეტად საინტერესო მოდელია, მაგრამ უპირატესობებთან ერთად გარკვეულ საფრთხეებსაც შეიცავს.

შერეული მოდელის მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ ყველა დანიტერესებული მხარე ირიბად ჩართულია მონეტარული პოლიტიკის შემუშავებაში, მაგრამ ამავდროულად არც ერთ მათგანს გადამწყვეტი უპირატესობა არ აქვს, რაც გარკვეული ძალთა ბალანსის საშუალებას იძლევა. ორივე მხარის ჩართულობა მეტად მნიშვნელოვანია, რათა საჯარო ინტერესების წარმომადგენლებს ან კერძო სექტორს, არ ჰქონდეთ გაუცხოვება გატარებული მონეტარული პოლიტიკის მიმართ. მართალია ფედერალური სარეზერვო სისტემა მთლიანად დამოუკიდებელია გადაწყვეტილებების მიღების დროს, მაგრამ მმართველი ორგანოს არჩევის შერეული ვარიანტი ყველა მხარეს თანაბარ უპირატესობას აძლევს. ეს გარემოება გაცილებით ადგილს ჰქნის, რომ ორივე სექტორი თანაბრად დაემორჩილოს ფსს-ს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს და უპირობოდ აღიაროს მის მიერ დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკის წარმართვის უფლება.

ფსს-ს დასურულ კომიტეტებზე მიღებული გადაწყვეტილება ნაკლებ წინააღმდეგობას აწყდება მისი აღსრულების პერიოდში, ვინაიდან კერძო და საჯარო სექტორს ამ გადაწყვეტილებაში მონაწილეობის თანაბარი განცდა აქვს. მართალია, პირდაპირი სახით არ იღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მაგრამ თითეულ მათგანს საქუთარი წარმომადგენელი ჰყავს აღნიშნულ კომიტეტზე.

ასევე საინტერესოა თუ რა რისკებს შეიცავს აღნიშნული მოდელი. ფსს-ს სტრუქტრაში იმდენად მჭიროდ თანამშრომლობენ ორივე მხარის წარმომადგენლები, რომ მათ შორის ზღვარი ფაქტურად წაშლილია.

თვითონ ფსს-ს არსებობის არსს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მაქსიმალურად პარმონიულად მოახდინოს სახელმწიფო და კერძო ინტერესების შერწყმა თავის გადაწყვეტილებებში. ვინაიდან მონებარული პოლიტიკის წარმოებისას მკაფიო გამყოფი ზღვარი არ არსებობს, ადვილად შესაძლებელია პარმონიული შერწყმის მაგივრად ერთმანეთზე ზეგავლენის მცდელობაც მივიღოთ, რაც, რა თქმა უნდა, ერთ-ერთ მხარეს აზარალებს და თავის მხრივ მთლიანად ქვეყნისთვისაც საზიანოა.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ მმართველთა საბჭო ანუ ფედერალური სარეზურვო სისტემის მმართველი ორგანო პოლიტიკოსების მიერ ინიშნება – პრეზიდენტის წარდგინებით კონგრესი ამტკიცებს. შესაბამისად, ყოველთვის არსებობს კომერციული ბანკებისთვის და მსხვილი საფინანსო კორპორაციებისთვის ცდუნება, რომ ჩაერიონ საჯარო პოლიტიკაში, რათა გავლენა მოახდინოს ფსს-ს მმართველი რგოლის არჩევაზე.

აშშ-ის საჯარო პოლიტიკის წარმოება კანონიერად შეიცავს ოფიციალური ლობის ინსტიტუტს, რაც რეალურად ამა თუ იმ კანონპროექტის ან ამა თუ იმ კანდიდატურის ოფიციალურ ლობირებას ნიშანებს ფინანსური ორგანიზაციის მიერ. თვით აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნების დროსაც კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფინანსურ შემოწირულობებს, რომლის მეშვეობითაც ამა თუ იმ კანდიდატის წინა საარჩევნო კამანია მიმდინარეობს. შესაბამისად, ამერიკის პოლიტიკურ არენაზე, დიდი ფინანსურ სახსრებს მქონე ორგანიზაციებს თუ პიროვნებებს, დაგაალური საშუალება აქვთ იმოქმედონ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. თუ გავითვალისწინებთ, კომერციული ბანკების მფლობელების ხელში აკუმულირებულ ფინანსურს რესურსებს, ადვილი წარმოსადგენია თუ რა გავლენის მოხდენა შეულიათ მათ პოლიტიკაზე და იმავე პრეზიდენტისა თუ კონგრესის არჩევანზე, როდესაც ისინი ფედერალური სარეზურვო სისტემის მმართველთა საბჭოს აკომპლექტებენ.

მეორე საფრთხე, რაც მკაფიოდ გამოჩნდა 2008 წლის ფინანსური კრიზისის დროს, ე.წ. Too big to fail [ქართულად: ძალზედ დიდი საიმისოდ, რომ გაკოტრდეს. ასეთი კომპანიების კატეგორიას განეკუთვნება მსხვილი კორპორაციები, რომელთა გაკოტრებამაც შესაძლოა ამერიკის ეკონომიკას პრობლემა შეუქმნას. ტერმინი წარმოიშვა 2007-2010 წწ. გლობალური ეკონომიკური კრიზისის პერიოდში.] მაშტაბის კომპანიების გავლენის ზრდა არის. კრიზისის დროს, როდესაც უძრავი ბანკი, მათ შორის უმსხვილესი ბანკებიც, რომლებიც ზემოხსენებულ კატეგორიაში გადიან, გაკოტრების პირას მივიდნენ, მათ უბრალოდ განაცხადეს, რომ მათი გაკოტრება

მთლიანად საფინანსო სფეროს განადგურებას გამოწვევდა და გარკვეულ წილად, შეიძლება ითქვას, რომ დააძლეს მთავრობას, გადასახადის გადამხდელთა თანხები მათ გადასარჩენად მიემართა. აღნიშნული თანხების განკარგვა კი ფედერალურ სარეზერვო სისტემას დაევალა. თანხების განაწილება მთლიანად მათი შეხედულებისამებრ განხორცილება.

არსებული საფრთხეების მიუხედავად, ფედერალური სარეზერვო სისტემის სტურქტურა უნიკალურია მსოფლიოში და ის უკვე ერთი საუკუნის განმავლობაში წარმართავს მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკის მონეტარულ პოლიტიკას. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე შესაძლებელია აშშ-ის ისტორიაში ყვალაზე წარმატებული ცენტრალური ბანკის პროექტიც ვუწოდოთ.

დასკვნა

საბოლოო ჯამში დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ამერიკის ცენტრალური ბანკებიდან უველაზე მეტ ხანს გაძლო, როგორც ქმედითმა ორგანიზაციამ. უკვე თითქმის ერთი საუკუნეა, რაც მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკის მონეტარულ პოლიტიკას სათავეში უდას. სტაბილურ პერიოდში ხელს უწყობს ამერიკის ეკონომიკის კიდევ უფრო გაძლიერებას, ასევე მაღალი ადაპტაციის დონე გამოავლინა მკვეთრ ცვლილებებზე ეკონომიკაში თუ პოლიტიკაში.

ლიტერატურა

References:

1. Rothbard M. N. A History of Money and Banking in the United States. Auburn, Alabama; 518 West Magnolia Avenue. Ludwig von Mises Institute. 2002. 510 p.
2. Grey B. G. Federal Reserve System: background, analyses and bibliography. Huntington, New York 11743. Nova Science Publisher Inc. 2002. 242 p.
3. menqiu n. g. ekonomikis principebi. Tbilisi. gamomcemloba «diogene». 2000 w. saavtoro ugleba 1998 w. gv. 783-801.
4. B. B. Haggott, Federal Reserve System, New York, American Institute of Banking, 1972.
5. J. L. Broz. The International Origins of the Federal Reserve System. Cornell University Press. 1997. 280 p.
6. John H. Wood. A History of Central Banking in Great Britain and the United States. New York: Cambridge University Press, 2005. 456 p.

7. Wells, Donald R. The Federal Reserve System: A History. Macfarland and Company Inc. North Carolina. 2004.
8. Bernard Shull. The fourth branch: the Federal Reserve's unlikely rise to power and influence. Greenwood Publishing Group, 2005. 254 p.
9. Corder K. J. The Federal Reserve System and the Credit Crisis. Western Michigan University, Journal: Public Administraition Review. July 2009. pp 623-631.
10. Ceccetti S. G. Monetary Policy and the Financial Crisis of 2007-2008. Brandeis International Business School, France. April 2008.
11. White L. H. Federal Reserve Policy and the Housing Bubble. Cato Tournal. 2009. Vol 29. pp 115-125.
12. D. H. Carson. Is the Federal Reserve System Really Necessary? The Journal of Finance. Vol 19, No. 4. Blackwell Publishing. Dec. 1964. pp 652-661.
13. Bernard Shull. Federal Reserve Independence: What Kind and How Much? Journal of Post Keynesian Economics, Vol. 18, No. 2. M.E. Sharp Inc. (Winter, 1995-1996), pp. 211-230.
14. <http://www.federalreserve.gov/aboutthefed/default.htm>, ukanasknelad iqna gadamowmebuli 19.06.2011
15. <http://en.wikipedia.org/wiki/Fed>, ukanasknelad iqna gadamowmebuli 19.06.2011
16. <http://www.econlib.org/library/Enc/FederalReserveSystem.html>, ukanasknelad iqna gadamowmebuli 19.06.2011
17. <http://www.federalreserveeducation.org/>, ukanasknelad iqna gadamowmebuli 19.06.2011

Giorgi Gamkrelidze

Federal Reserve System of the USA and Its Role in Current Financial System

Summary

We discuss in the work structure of US Federal Reserve System which carries out the functions of the Central Bank. Main issue is balancing private and public interests, how mentioned relation is reflected in its structure and how it influences upon decisions of the company.

Existed literature, basic opinions and theories about Federal Reserve System are briefly reviewed in the Work. It is remarkable that there is too little number of literary works in Georgian language related with this issue.

Initial part of the Work speaks of development stages of the US financial domain. Examples of the first and the second central banks America are shown, as steps made to the formation of Federal Reserve System. Each historical event, which influenced further establishment of the Federal Reserve System are realized in this

part of the Work. Starting with American Revolution and English-American War of 1812, continued with Civil War in the 60s of 1812 of the 19th century and up to establishment of the FRS developed by Bank Panic of 1907 that gave rise to the meeting of the largest bankers of America at the Jekyll Island and processing and verification of the Law of 1913 about Federal Reserve System.

In the following chapters there is detailed description of FRS structure, as well as the procedure of appointing members of the board of governors by the president. There is “Federal Committee of Open Market” in the FRS structure on providing monetary policy, which are the body making basic decisions in this direction. There are shown what proportions is the representative carrying out public interests selected by and by what proportions is the carrier of the interests of the commercial banks selected. Correlation of the representatives at the mentioned Committee, of course, influence upon final decision.

In the following part we discuss financial instruments owned by the FRS and in what way they are utilized. There is described the process of making decisions about using this or that lever.

Federal Reserve System plays quite a big role in international financial processes as well because of the simple reason that position of the US dollar at the International scene depends greatly on the actions of FRS. Together with the US Treasury, FRS realizes as direct, so indirect interventions at the foreign exchange markets. Critical period turns into serious experience to every company. The way of reaction on Global Economical Crisis of 2008 (which took start in the USA) by FRS is of great interest. We discuss actions of FRS during the Crisis in the separate chapter. We describe what gave rise to the mentioned crisis and could FRS predict it and provide prevention activities. There are concrete examples on what decision and why were made during the Crisis and how the attempts of FRS helped America in overcoming it.

Final chapter is dedicated to the analyzing of the main issue in the structure of combined management of the Federal Reserve System, which interest excels – private or public. This issue is the subject to the discussion of many politicians and scientists.

If we analyze Structure of the Federal Reserve System from the point of its managing body – by the system of appointing Board of Managers, we'll see that the state plays leading role in completing it, as all seven members of the managing body nominated by the President are approved by the Congress, though, the other hand, all 100% of the FRS assets are the compulsory reserves of the private commercial banks. In other words, the assets of the Federal Reserve System are owned by the private companies, while management it appointed by the government. In this way FRS is a good example of separating ownership and control.

The most significant advantage of the combined model is the fact that each interested party is indirectly involved into the processing monetary policy, though, at

the same time, none of them has decisive priority that gives the opportunity for balancing definite powers. Involving of the both Parties is extremely important; to avoid estrangement towards provided monetary policy by the representatives of the public interests or private sector.

In the same chapter we discuss the danger that private combined management system might consist of. The case is that Board of the Managers or the managing body of the Federal Reserve System is appointed by the politicians – they are nominated by the President and approved by the Congress. Correspondingly there always is a trial to the commercial banks and large financial corporations to interfere into the public policy to influence upon election of the managing range of the FRS.

In the conclusion of the Work we summarize basic outcomes of analysis. Combined system of managing FRS has as strong, so weak sides. If we discuss from the point of the management object of the company, or by the financial market of America, during the one century history Federal Reserve System has dealt with the task of managing monetary policy of America perfectly.

Keywords: structure of US Federal Reserve System, development stages of the US financial domain, financial instruments, combined management system, managing monetary policy.

Reviewer: Professor Otar Kochoradze, Georgian Technical University

Георгий Гамкрелидзе

**Организация Федеральной Резервной Системы США и ее роль
в современной финансовой системе**

Резюме

В труде рассмотрена структура федеральной резервной системы США, которая выполняет функции центреального банка. Главным вопросом работы является изучение балансирования частных и публичных интересов в структуре ФРС, как отражается указанное направление в его структуре и как влияет на решении организации.

В работе сделан короткий обзор литературы о федеральной резервной системе, об основных соображениях и теориях. Необходимо отметить, что литературы на грузинском языке малочисленна.

В начальной части работы рассмотрены этапы развития финансовой сферы. Приведены примеры первого и второго центрального банка, как шаги к формированию федеральной резервной системы. В этой части труда проанализированы все те исторические явления, которые повлияли на

формирование федеральной резервной системы, начиная с революции в Америке и с англо-американской войны 1812 г. продолжая гражданской войной 60-их годов девятнадцатого века до банковской паники 1907 года, которая непосредственно послужило поводом создания ФРС, этому предшествовало собрание богатейших банкиров Америки на острове Джекил и разработка и утверждение закона 1913 г. о федеральной резервной системе.

В последующих главах детально описана структура ФРС, процедура назначения членов управляющего совета президентом. В связи с проведением монетарной политики в структуре ФРС существует «федеральный комитет открытого рынка», который представляет собой орган принимающий основные решения. В труде показана по каким пропорциям выбирается представитель проводящий публичные интересы и по каким пропорцией - проводящий интересы коммерческих банков. Соотношение представителей в указанном комитете, конечно влияет на окончательное решение.

В следующей части рассмотрены, финансовые инструменты имеющиеся у ФРС и механизмы их использования. Федеральная резервная система играет весьма значительную роль в международных финансовых процессах, по той простой причине, что позиции доллара на международном уровне значительно связана с действиями ФРС. Вместе с казной Америки ФРС осуществляет, как прямые, так и косвенные инвестиции на валютных рынках. У нее также тесная связь с центральными банками других стран.

Кризисные периоды являются серьезным испытанием для любой организации. Особенно интересным является, изучение вопроса, как отреагировало ФРС на мировой экономический кризис 2008 года, который начался именно с Америки. Отдельная глава работы посвящается рассмотрению действий ФРС в период кризиса. Описаны причины кризиса и могла ли ФРС предсказать его и провести превентивные мероприятия. Приведены конкретные примеры разных решений и рассмотрено почему были приняты решения уже в период кризиса и насколько помогло усилие ФРС в преодолении кризиса Америке.

Последняя глава посвящена анализу главного вопроса, о структуре смешанного управления федеральной резервной системы, а именно который интерес превосходит - частный или публичный.

Если проанализируем структуру федеральной резервной системы по системе назначения управляющего совета – управляющего органа, окажется, что государство играет ведущую роль при укомплектовании его правящего органа, так как всех семерых членов правящего органа на должность утверждает конгресс после представления кандидатуры президентом, но с другой стороны все сто процентов активов ФРС состоит из обязательных резервов частных коммерческих банков исходит что активами федеральной резервной системы владеют частные организации, а управление полностью

назначается правительством. С этой стороны ФРС представляет собой интересный пример разделения между владением и контролем.

Значительны превосходством смешанной модели является то, что все заинтересованные стороны косвенно включены в разработке монетарной политики, но в тоже время ни одна из сторон не имеет решающее преимущество, что дает возможности для баланса определенных сил. Участие обеих сторон очень важно для, представлении публичных интересов или частный сектор не имели отчуждение проведенной монетарной политики.

В этой главе также показано, какую опасность может содержать смешанная правящая система. Дело в том, что совет правителей или правящий орган федеральной резервной системы назначается политиками. Соответственно всегда существует соблазн для коммерческих банков и крупных финансовых организаций, чтобы были включены в публичную политику, чтобы повлиять на выбор правящего звена

В заключении труда даны основные результаты анализа. У смешанной системы правления ФРС есть как сильные так и слабые стороны. Если будем судить по объектам правления данной организации т.е. по финансовому рынку Америки, в течении Одно вековой истории существования, федеральная резервная система управилась с задачей правления монетарной политики Америки.

Ключевые слова: с структура федеральной резервной системы США, этапы развития финансовой сферы, финансовые инструменты, смешанная правящая система, правление монетарной политики.

Рецензент: профессор Отар Кочорадзе. Грузинский технический университет

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა

**ლაშრა პუტუბიქ-ზუბაშვილი, ლალი მაშვაბაშვილი
შურნალისტიკისა და პიარის (PR) ურთიერთობისათვის**

უურნალისტიკა და პიარი (PR-საზოგადოებასთან ურთიერთობა) განუყოფლენ კავშირშია თანამედროვე საზოგადოების ფუნქციონირების თითქმის ყველა სფეროსთან; ეს ცნებები ხშირად ფიგურირებს ტანდემში და არც მათი აღრევის შემთხვევებია იშვიათი. უურნალისტიკა შესაძლოა უფრო „ხანდაზმული“ იყოს, ვიდრე პიარი, მაგრამ ორივე ძალიან ახალგაზრდაა, არა აქვს ისე კლასიკურად ჩამოყალიბებული განზომილებები, როგორიც, ვთქვათ, მათემატიკას; არც ერთი არ ითვლება მეცნიერებად. თუმცა, ორივე მათგანის წანამდლვრები ისევე უძველესია, როგორც თავად კაცობრიობა: ყველა დროში, ყველა ქართველი საჭირო იყო ინფორმაციის გაცემა, საზოგადოების ცნობიერებაზე გარკვეული ზემოქმედება, აუდიტორიის დარწმუნება. თანამედროვე ეტაპზე უურნალისტიკაცა და პიარიც მასობრივი კომუნიკაციის, კომუნიკატივისტიკის სფეროს შემადგენერაცია ნაწილია, ხშირად იკვეთება მათი ვექტორები, ისინი ერთმანეთის საწინააღმდეგო დინებასაც მიუყვებიან და ერთმანეთსაც ავსებენ.

პრეს-შუამაგლებიდან (რომლებიც თანამედროვე პიარ-სპეციალისტების წინამორბედებად ითვლებიან) მოყოლებული დღეშიდე პიარის სფეროში უმეტესწილად უურნალისტიკისაგან: წერა, რედაქტირება, საინფორმაციო ამბების შედგენა, გავრცელება, სხვადასხვა მედიისათვის თემატური მასალების მომზადება, საინფორმაციო ბიულეტენების შედგენა... უურნალისტიკაშიც ძალიან ხშირად წარმატებით იყენებენ პიარის ელემენტებს, როცა საქმე ეხება რომელიმე პოლიტიკური თუ სოციალური იდეის ფარულ პროპაგანდას.

პრესის კონცეფციების თანახმად, საბჭოთა კომუნისტური კონცეფციის მიხედვით (რომლის მიდგომებიც ჯერ კიდევ გამოიყენება ჩვენს რეალობაში), „სახელმწიფო არა მხოლოდ აკონტროლებს ახალ ამბებს, არამედ ქმნის კიდეც მათ: ინფორმაციის პრესაში

გამოქვეყნების საბოლოო მიზანი ადამიანების შეგნებასა და მოქმედებებზე კონტროლის დამყარებაა“. [5:2]

დღევანდელ ქართულ შედიაში, უურნალისტიკაში, თვალნათლივ შეიმჩნევა პიარისა და პიარტექნოლოგიების გაცლენა, განსაკუთრებით, ახალი ამბების გადმოცემაში. სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების მიერ ახალი ამბების თემების შერჩევა, განლაგება, გადმოცემის ფორმა ხშირად გამიზნეულ ზეგავლენას ახდენს აუდიტორიაზე. საგულისხმოა, რომ უურნალ „მაუწყებლის“ ერთ-ერთ საავტორო „ფურცელში“ მედია-ტექნოლოგიების ექსპერტმა სათაურშივე მიანიშნა ამ ტენდენციაზე - „პიარი“, „ნიუსის“ ნაცვლად“. იგი მართებულად აღნიშნავს, რომ უურნალისტიკისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების მთავარი არსი გარკვეული ტიპის ინფორმაციის გავრცელებაა, ოღონდ, თუ უურნალისტმა თავად უნდა მოიპოვოს ინფორმაცია, პიარის შემთხვევაში წყარო თავადად დაინტერესებული იპოვოს შუამავალი მისთვის სასურველი ინფორმაციის გასავრცელებლად: „ეს ინფორმაცია ანაცვლებს „ნიუსს“, ანუ, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ამბავს და მის ველს იკავებს... სქემა თითქოს იგივეა, რაც უურნალისტიკაში - წყარო - მასობრივი ინფორმაციის საშუალება - საზოგადოება, თუმცა „პიარის“ შემთხვევაში საზოგადოება იღებს იმ ინფორმაციას, რომლის გავრცელებაშიც დაინტერესებულია წყარო და არა თავად საზოგადოება... და თუ რეკლამის შემთხვევაში ჩვენ თავს მოხვეულ ამბავს მარტივად ვარჩევთ „ნიუსისგან“, „პიარის“ დროს საქმე ასე მარტივად როდია - არც ფორმა და არც შინაარსი არ გვეუბნება იმის შესახებ, რომ ეს, რასაც ჩვენ ამ წუთას ვისმენთ ან ვუქურებთ, სრულებითაც არ არის უურნალისტის საქმიანობის ნაყოფი.“ [8:22]

საქართველო, ამ შემთხვევაში, არ არის გამონაკლისი; ასეთივე კითარებაზე მიანიშნებენ მასობრივი კომუნიკაციის ამერიკული სახელმძღვანელოს ავტორებიც: „გაზეთებისა და სატელევიზიო ახალი ამბების ანალიზი აჩვენებს რომ მისი შინაარსის თითქმის 70 პროცენტი საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტების მიერ მომზადებულ მასალებს მოიცავს.“ [1:286]

თანამედროვე კომუნიკაციის პირობებში მედია ინტენსიურად გამოიყენება, როგორც პიარ ინსტრუმენტი; შესაბამისად, პიარსა და უურნალისტიკას შორის ნელ-ნელა იშლება გამყოფი ზღვარი; მეორეს მხრივ, უურნალისტიკაც „ითქვიფება“ მასობრივი კომუნიკაციის რთულ სამყაროში და ეს გარემოებაც ამნელებს მათ გამიჯნებას. მიუხედავად ამისა, შესაძლებელიცაა და აუცილებელიც ამ ორი კომუნიკაციური სტრატეგიის ერთმანეთისაგან გამოცალკევება.

შურნალისტიკა უმთავრეს როლს ასრულებს მედიის ძირითადი ფუნქციების - (მეთვალყურეობა/კონტროლი, საზოგადოებრივი კომუნიკაციის უზრუნველყოფა, მსოფლიოს ახალი ამბებით უზრუნველყოფა) განხორცილებაში; მისი დანიშნულებაა საზოგადოების მრავალმხრივი ინფორმირება, საზოგადოების მრავალფეროვნების ფაქტორის გათვალისწინებით; შურნალისტიკის აუდიტორია მასობრივია.

პიარი (საზოგადოებასთან ურთიერთობა) ასევე აგროვებს და ავრცელებს ფაქტებსა და ინფორმაციას, მაგრამ მისი მიზანი სხვაა - არა მხოლოდ ინფორმირება, არამედ, ადამიანების დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლა ორგანიზაციის/პერსონის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად. იგი, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, გათვალისწინებულია არა მასობრივ აუდიტორიაზე (ეს, უმეტესწილად, წამგებიანია), არამედ, მისი სამიზნე აუდიტორია საგანგებოდ დანაწევრებულია სეგმენტებად - დემოგრაფიული, ფსიქოლოგიური და სხვა მასასიათებლების მიხედვით. [7]

პროფესიონალური მოულდის აზრით, პიარისა და შურნალისტიკის ერთმანეთში ათქვევის ტენდენცია აკნინებს შურნალისტურ განათლებას. გამოდის, რომ „შურნალისტები, რომლებიც ხელისუფლებისა და ბიზნესის „მოდარაჯე ნაგაზის“ როლს უნდა თამაშობონ, მათი ლაქიები ხდებიან“ [3:50]. თუმცა, აქ ერთი მოქმედიც არის გასათვალისწინებელი: შურნალისტებსაც და პიარის სპეციალისტებსაც სტირდებათ იმის ცოდნა, თუ როგორ მოახდინონ ინფორმაციის შეგროვება და აუდიტორიამდე ნათლად და გასაგებად მიტანა. ამიტომ სშირია, როცა შურნალისტიკის სფეროს წარმომადგენლები პიარში აგრძელებენ თავიაზონ კარიერას, ანდა, პირიქით, შურნალისტებისთვის ნაცნობია იმ სამუშაოების შესრულება, რაც მათ პიარსამსახურებში უწევთ: მედიისთვის საინფორმაციო მასალების, სპეციალიზებული პუბლიკაციების მომზადება, რედაქტორება, მედიასაშუალების შერჩევა და მედიაში მასალების გაშუქების კოორდინირება, ნაბეჭდი ან ვიზუალური პროდუქციის მომზადება და სხვა.

შურნალისტიკა, როგორც აღვნიშნეთ, არ მიიჩნევა მეცნიერებად, მაგრამ მისი, როგორც აკადემიური დისციპლინის სწავლებას უკვე კარგა ხნის ტრადიცია აქვს, რასაც ვერ ვიტყვით პიართან მიმართებაში.

საქართველოში, დარგობრივი კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს მიხედვით, სპეციალობა - საზოგადოებასთან ურთიერთობა მასპინძირების/შურნალისტიკის დარგში შედის. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მედიამკლევართა ნაწილი საჭიროდ მიიჩნევს

ქურნალისტისა და პიარის გამიჯნას; ორივე მხარისათვის სასურველია ესმოდეთ ერთმანეთის, თუმცა, ამ ორი, ფუხნდაშეჩრდურად ურთიერთსაწინააღმდეგო პროფესიების გაერთიანება არ წარმოადგენს საუკეთესო გადაწყვეტილებას.[2] მსგავს პოლიტიკას ახორციელებს იუნისკოს ეგიძით შემუშავებული ქურნალისტიკის კურიკულუმის მოდელი, რომელიც ქურნალისტური სწავლების პროცესში ეწინააღმდეგება ისეთი საგნების შეთავაზებას, როგორიცაა საზოგადოებასთან ურთიერთობა, რეკლამა და სხვ. და ადნიშნავს, რომ ეს ცალკე შესასწავლი ჯურსებია. [6]

პიარის საერთაშორისო ახორციელისა (IPRA) და პიარის ფლორიდის ინსტიტუტის (IPR) კვლევის შედეგებში ასახულია პიარგანათლების პრობლემები და სხვადასხვა ქვეყანაში არსებული მიღებობი და პრატიკა. აშშ-ში პიარის საგანმანათლებლო პროგრამები უმეტესწილად სათავეს იღებს ქურნალისტიკის სკოლებსა და ფაკულტეტებზე. ევროპაში საუნივერსიტეტო პიარ-პროგრამები ძირითადად ემყარება სოციოლოგიის ფაკულტეტებს, ბიზნესის ან კომუნიკაციის სკოლებს. სწავლების სხვადასხვა პირობების მიუხედავად, თითქმის ყველგან პიარის სწავლება პირველი საფეხურით შემოიფარგლება, ხოლო ძირითადი დიპლომის მისაღებად ბევრი პიარსპეციალისტი ირჩევს ისეთ დარგებს, როგორიცაა ხელოვნება, სოციოლოგია, ქურნალისტიკა, პოლიტურლოგია, საჯარო მმართველობა, ეკონომიკა, ჰუმანიტარული მეცნიერებები. შესაძლოა, ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ პიარი საზოგადოებაში უმეტესწილად აღიქმება ხელობად და არა პროფესიად. [4]

საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში, როგორც აღვნიშნეთ, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალობა მასკომუნიკაცია-ქურნალისტიკის დარგში შედის. 2005 წელს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამა გაიხსნა საქართველოს უნივერსიტეტში; საზოგადოებასთან ურთიერთობის ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამა გახსნილია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში, ქურნალისტიკისა და მედიამენეჯმენტის სკოლის ფარგლებში; კაფესიის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა - სტრატეგიული კომუნიკაცია საშუალებას იძლევა მაგისტრი დასპეციალდეს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის მიმართულებით. სამაგისტრო პროგრამების მცირებიცხოვნების მიუხედავად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უახლოეს მომავალში ჩვენს რეალობაში პიარის (საზოგადოებასთან ურთიერთობის) აღქმა თანდათან გადაინაცლებს ხელობიდან პროფესიისკენ.

ლიტერატურა:

References

1. Deflori, M., Denisi, E., Masobrivi komunikaciis gaazrebisaTvis. Tbilisi: Impresi. 2009 (Georgian)
2. Hume, E., Report to the Center for International Media Assistance. University Journalism Education: A Global Challenge.Washington, D. C. 2007 (English)
3. Moyld, d., Bizovi I novie napravlenia obrazovania v oblasti jurnalistiki. Sestaia Iujnokavkazskaia konferencia CMI. 2009. (Russian)
4. PR cegodnia: novie podxodi, issledovania, mejdunarodnaia praktika, (avt.kol.). Moskva:INFRA-M. 2002 (Russian)
5. Repkova, T., Axali droeba: Profesiuli gazeTis Seqmna g anviTarebadi demokratis pirobebSi. Tbilisi: Diogene. 2007 (Georgian)
6. Serie UNESCO sur la formation au journalisme, Modeles de cursus pour la formation de au journalisme. 2007
<http://unesdoc.unesco.org/images/0015/001512/151209f.pdf> (MoZiebulia 01.06.2012) (French)
- 7.Uilksoni, d.l., Kameroni, g.t. SazogadoebasTan urTierToba: strategia da taqtika. Tbilisi: Diogene. 2011 (Georgian)
8. WeliZe, I., “Piali” “niusis” nacylad, Jurnali Mauwyebeli, #4, Tbilisi. 2011 (Georgian)

**Laura Kutubidze-Zubashvili, Lali Dzamukashvili
About the Relations Between Journalism and PR**

Summary

The concepts of Journalism and PR are often met in tandem and both of them are in a close connection with almost every field of functioning of modern society. PR borrowed a lot from Journalism; the elements of PR are very often successfully used in Journalism. The impact of PR and PR technologies on modern Georgian media and Journalism, specially on news broadcasting, is obvious. Very often news are replaced by PR. The function of Journalism is informing the society and masses are its audience. PR collects and spreads the information as well, but its aim is not just informing, but shaping and changing the attitude of humans according to the goals and objects of organization/person and it is not calculated on mass audience, its target audience is segmented. Journalism is not considered to be the science, but teaching it as an academic discipline is a longterm tradition. It is not the same with PR – PR is often perceived by the society as an skill but not as a profession.

Keywords:Tandem of Journalism and PR.; PR replaced news; Mass Communication; The impact of PR technologies; PR – skill or profession; Teaching Journalism and PR.

Reviewer: Professor Otar kochoradze, Georgian Technical University

Лаура Кутубидзе-Зубашвили, Лали Дзамукашвили Взаимосвязь журналистики и PR

Резюме

Понятия – журналистика и PR часто фигурируют в тандем и оба тесно связаны почти со всеми сферами современного общества. PR многим обязан журналистике, со своей стороны журналистика не редко успешно использует элементы PR. В современной грузинской медиа, в журналистике, заметно влияние PR-технологии, особенно, при передаче новостей, более того – PR часто заменяет news. Журналистика всесторонне информирует общество и направлено на массовую аудиторию; PR, также, собирает и распространяет факты и информации, но с целью не только информировать, а изменить отношение и поведение людей в соответствии с намерениями конкретной организаций/персоны; целевая аудитория PR не массовая, она сегментична.

Журналистику не принято считать наукой, но она имеет достаточно давнюю традицию академической дисциплины, чего не можем сказать в отношении PR – оно в основном воспринимается не как профессия, а ремесло.

Ключевые слова: Тандем журналистики и PR; PR место новостей; массовая коммуникация; влияние PR-технологии; PR – профессия или ремесло; преподавание журналистики и PR.

Рецензент: Профессор Отар Кочорадзе. Грузинский технический университет.

ლელი პიგილაშვილი ბრენდი და სტრატეგია

სტრატეგია ბრენდისა და ბრენდინგის განუყოფელი ნაწილია. აქციო პროდუქტი/მომსახურება ბრენდად, შეუნარჩონო მას შესაბამისი იმიჯი და გაზარდო ლოილური მომხმარებლების რიცხვი მხოლოდ კარგად და აღეკვატურად დაგეგმილი სტრატეგიის ფარგლებში მიიღწევა.

ბრენდი (BRAND) - ეს არის სახელის, სიტყვის, სიმბოლოს ან დიზაინის ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს გარკვეულ პროდუქტს და მას სხვა მსგავსი პროდუქტებისაგან განასხვავებს.

ბრენდი განიხილება როგორც სტრატეგიული აქტივი, რომლის შექმნაც მოითხოვს ხანგრძლივ დროს და საჭიროებს მართვას. ძლიერი ბრენდის შემუშავება აქტუალური, რთული და საპასუხისმგებლო ამოცანაა, რომელიც მოითხოვს სპეციალურ ცოდნას. საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რაში მდგომარეობს ბრენდის კაპიტალი და როგორ ჰმატებს ის ფასეულობას საქონელს. თუკი ბრენდის იმიჯი არის მისი არსებული აღქმა, იდენტურობა არის ბრენდის ისეთი აღქმა, როგორადაც ფირმას უნდა რომ აღიქვან.

ბრენდი ყველაფერია, ბრენდი მომხმარებელს ფუნქციონალური, ემოციონალური და თვითგამოხატვითი მოთხოვნილებების დაგმაყოფილების სარგებელს სთავაზობს. ამ სარგებლის კომუნიკაცია კი კარგად დაგეგმილი, რეალობის შესაბამისი სტატეგიის მიხედვით უნდა მოხდეს სამიზნე სეგმენტამდე.

საქართველოში ერთერთი ყველაზე განვითარებული მტკნარი წყლის ბაზარია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ თუ რაიმე პროდუქტს ბრენდი შეგვიძლია ვუწოდოთ ეს მტკნარი წყლის პროდუქტებია. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მტკნარი წყლის ბაზრის კელების შედეგად გაირკვა, რომ საქართველოში არსებული წამყვანი ბოთლიორებული მტკნარი წყლის ბრენდების იდენტობა საკმაოდ

ბუნდოვანია და მეტიც, ხშირ შემთხვევაში მათდამი დამოკიდებულება, მათი იმიჯი, მათ მიმართ არსებული ასოციაციები არა სწორი სტრატეგიის შედეგია, არამედ არც მეტი არც ხაკლები უმეტესად უბრალოდ დასახელებით არის განპირობებული. კერძოდ, სხვადასხვა მთის კურორტების და დასახვენებელი ადგილების სახელის მინიჭების გამო აქვთ ამა თუ იმ პროდუქტებს შესაბამისი იმიჯი.

მტკნარი წყლის ბრენდების იმიჯების ანალიზი აჩვენებს, რომ კვლევის პროცესში შესწავლილი ყველა ბრენდის შემთხვევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საიმიჯო მახასიათებელია ჯანმრთელობისთვის სარგებელი. ეს, ერთის მხრივ, განპირობებულია, ზოგადად, მტკნარი წყლის კატეგორიის აღქმული სარგებლიანობით, ხოლო, მეორეს მხრივ, წყლის ბრენდების წარმომავლობის ადგილით (თითქმის ყველა მტკნარი წყლის სარგებლიანობა მისი წარმოშობის დოკაციასთან მიმართებაში განიხილება). ამ ტენდენციას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ”ბონაქვას” იმიჯში ჯანმრთელობა, როგორც სამომხმარებლო დირექტულება ხაკლებადა გამოკვეთილი ქართული წარმომავლობის წყლის ბრენდებთან შედარებით.

ამ მიგნების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მტკნარი წყლის ბრენდის შექმნაზე მუშაობისას განსაკუთრებული ძალისხმევის მიმართვა ჯანმრთელობის თემატიკაზე და მტკნარი წყლის, როგორც ჯანმრთელობისთვის სასარგებლოს პოზიციონირება არ შექმნის ბრენდის დამატებით დირექტულებას, იმდენად, რამდენადაც მტკნარი წყალი ამ ძალისხმევის გარეშეც მოიაზრება ჯანმრთელობისთვის სასარგებლოდ.

მტკნარი წყლის ბრენდების საიმიჯო სივრცისა და ჩამოსასხმელი მტკნარი წყლის სამომხმარებლო ქცევის შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ მტკნარი წყლის ბაზარზე ბრენდებისადმი ლოიალობის ჩამოყალიბების მყარი საფუძველი არ არსებობს. ამა თუ იმ ბრენდის მოხმარების მიზეზად კვლევის მონაწილეების ნაწილი მიჩვევას ასახელებს. თვისებრივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ჩამოსასხმელი მტკნარი წყლის ბრენდებისადმი ლოიალობის დაბალი დონე, ერთის მხრივ, თავად პროდუქტის კატეგორიით (ბევრი მომხმარებელი მტკნარი წყლის სხვადასხვა ბრენდების ვერ არჩევს ერთმანეთისგან გემური თვისებებით) და მეორეს მხრივ, ბაზარზე არსებული ბრენდების ხაკლებად აქტიური და შინაარსობრივად დატვირთული საკომუნიკაციო აქტივობებითაა განპირობებული.

ჩამოსასხმელი მტკნარი წყლის სამომხმარებლო ქცევის ასეთი თვისებურება ერთის მხრივ, აჩვენებს, რომ, პროდუქტის კატეგორიის გამო, ახალი მტკნარი წყლის მიმზიდველ პროდუქტად ფორმირება

შეიძლება რთული იქოს, თუმცა, მეორეს მხრივ, ბრენდების გამოკვეთილი იმიჯების არარსებობა ახალი პროდუქტის პოზიციონირების პროცესს ამარტივებს, რადგან არსებული ბრენდები საიმიჯო სივრცეში საკმაოდ დიდ თავისუფალ აღილს ტოვებენ.

სტრატეგია რაც უფრო განსხვავებულია და მორგებულია ბრენდზე მით უფრო წარმატებულია. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მართალია სტრატეგია ყველა ბრენდისთვის ინდივიდუალური და გამორჩეული უნდა იქოს განსაკუთრებით როცა ბრენდი კონკურენტულ გარემოში ცდილობს დამკვიდრებას და ბაზარზე შემოსვლას ახალი პროდუქტით გვემავს.

გამომდინარე იქიდან, რომ მტკნარი წყლის მომხმარებელთა დიდი ნაწილი თვლის, რომ არსებული ბრენდები ბაზარზე დაბალი აქტიურობით გამოირჩევიან და ამასთანავე არც თუ ისე მკვეთრი იდენტობით ხასიათდებიან, დასაფიქრებელია რა სახის სტრატეგიას შეიძლება მიმართავდეს ახალი ბრენდი ბაზარზე წარმატებულად დამკვიდრების მიზნით.

არსებული ვითარების გათვალისწინებით მტკნარი წყლის ბაზარზე შემოსვლა-დამკვიდრების სტრატეგიის კონცეფციას გთავაზობთ.

ჩემის აზრით, ახალი ბრენდი ორი სტრატეგიული მიმართულებით უნდა წავიდეს. ერთ შემთხვევაში ის ფართე კომუნიკაციას უნდა გულისმობდეს, ხოლო მეორე შემთხვევაში - ვიწრო კომუნიკაციას.

ფართე კომუნიკაციის დროს მთავარ სეგმენტად 18-55 წლის აუდიტორია უნდა მოვიაზროთ, ვიწრო კომუნიკაციის შემთხვევაში კი - კონკრეტული პროფესიული წრეები და საზოგადოებრივი ჯგუფები. ვიწრო კომუნიკაცია კ.წ. WORD OF MOUTH-ის, რეფერენტული რჩვის, როლური მოდელირების საუკეთესო საშუალება შეიძლება გახდეს.

ცხადია, თითოეული მიმართულება კი, თავის მხრივ საკუთრიულ კომუნიკაციას გულისმობას.

უპრიანია ფართე კომუნიკაცია PR და სარეკლამო აქტივობებით დაგვირთოთ. PR აქტივობები ერთის მხრივ, ინფორმაციის რაციონალიზაციას უზრუნველყოფდა, ხოლო მეორეს მხრივ, სარეკლამო აქტივობები კი უკრადღების გენერირებასა და ინფორმაციის გროვიონალიზაციას შეუწყობდა ხელს.

ვიწრო კომუნიკაციის შემთხვევაში კი საკმაოდ განსახვავებული და ორიგინალური გზით შეფუთული პირდაპირი კომუნიკაცია იქნებოდა საჭირო, სადაც ერთი კომუნიკაციის ჩარჩოს ფარგლებში მიზანი ერთდროულად ემოციონალიზაციაც იქნებოდა და რაციონალიზაციაც.

მთავარი მესიჯები და აქცენტები - კომუნიკაციის კონცეფცია

მტკნარი წყლის პროდუქტის თვისობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე ორი ძირითადი მიმართულება შეიძლება იყოს საინტერესო.

მიმართულება 1

როცა ბრენდის დაპირებაა - ბუნებრივი ენერგიის წყარო, შესაბამისი ემოციური და რაციონალური სარგებლის შეთავაზებით, ქერძოდ:

ემოციური მოტივაცია

- ვიტვირთები დადებითი ენერგიით;
- ვეზიარები მთის ჰავას, სიჯანსაღეს; მთის უნიკალურ ბუნებას;
- ვიღებ ბუნებრივ მინერალებს;
- ძალა მემატება - მთებს გადავდგამ;
- თავისუფლების განცდა მიპყრობს;
- ვიცლები უარყოფითი ენერგიისგან;
- სპონტანური ვარ.

რაციონალური მოტივაცია

- ცივია, კარგად მაგრილებს;
- წყლის შემადგენელი მინერალები ენერგიის აღმდგენია;
- სასარგებლოა.

მიმართულება 2 - წყალი, რევიტალიზაციის საშუალება, შესაბამისი ემოციური და რაციონალური სარგებლის შეთავაზებით, ქერძოდ:

ემოციური მოტივაცია

- თავიდან ვიბადები;
- ნორჩი ვარ;
- ახალი ენერგიით ვივსები;
- სიამოვნებას განვიცდი;
- სიცოცხლე მიხარია;
- ძალა მემატება, ვახალგაზრდავდები.
- მინდა, რომ დავლიო, დავუწაფო.

რაციონალური მოტივაცია

- სუფთა, კამპამა გაუფუჭებელ წყალს ვსვამ;
- გემრიელ წყალს ვსვამ;
- უნიკალური შემადგენლობა აქტს, ორგანიზმს წმენდს და აღადგენს/ავსებს.
- სასარგებლოა.

ტაქტიკური ხასიათის მიმართულებები

ტაქტიკურ დონეზე ფართო კომუნიკაციისთვის სხვადასხვაგარ აქცენტებს შემოგთავაზებდით PR და სარგებლამო ქმედებებში.

PR-ის კუთხით პროდუქტის ირგვლივ არსებული რაციონალური სარგებლის ინფორმირება სიუჟეტებისა და სოციალური ქსელების საშუალებით იქნებოდა საინტერესო, ხოლო წყლის, როგორც ჯანმრთელობისთვის საჭირო, ენერგიის აღმდგენი/გამაახალგაზრდავებელი იმიჯის ფორმირების მიზნით კი, მარათონებს, გამაჯანსაღებელი ხასიათის სატელევიზიო პროგრამებსა და აქციებს შემოგთავაზებდით.

რეკლამირების თვალსაზრისით კი საქმაოდ ეფექტური დილის გადაცემებში პროდუქტის განთავსება და ბრენდის არსის შესაბამისი სცენარის ვიდეო რგოლების დამზადება იქნებოდა. ამასთანავე, ძალიან მნიშვნელოვანია გაყიდვის წერტილებში (ე.წ. point of purchase) რეკლამა (მაგალითად, flash mob), რადგანაც გაყიდვის წერტილში ეფექტურად მიწოდებული ინფორმაცია ყიდვის სტიმულირებას ახდენს და მინიმუმადე დაყავს ის შესაძლო დამაბრკოლებელი გარეგანი ოუ შინაგანი ფაქტორები, რაც შესაძლოა მზაობიდან ქცევამდე გაჩნდეს.

ვიწრო კომუნიკაციის შემთხვევაში კი ცალსახად პირდაპირი კომუნიკაცია იქნებოდა ეფექტური. ვიწრო კომუნიკაცია აზრთა ლიდერებთან უნდა განხორციელდეს, რაც ერთის მხრივ word of mouth-ის გარანტიაა, ხოლო მეორეს მხრივ როლური მოდელირების და მიმბამელობის წახალისების საუკეთესო შესაძლებლობაა.

პირდაპირი კომუნიკაციის დროს ირიბი სემპლინგი საქმაოდ საინტერესო საშუალება იქნებოდა. პოპულარულ ადამიანებს შეარჩევდნენ დარგების მიხედვით და ბრენდის წარმომადგენელი ამ ადამიანებს, როგორც განსაკუთრებულად მნიშვნელოვან და ძვირფას ადამიანებს საზოგადოებისთვის ბრენდს გადასცემდა საჩუქრად. ამგვარი კომუნიკაცია ცნობილ ადამიანებში წინასწარ გააჩენს პოზიტიურ განწყობას ბრენდის მიმართ, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყოს ბაზარზე გამოჩენის დროს ბრენდის ატაცებასა და პოპულარიზაციას.

ლიტერატურა:

Reference:

1. Kapferer, Jean-Noel. (2007) The New Strategic Brand Management. UK, London, London and Sterling Kogan Page
2. Keller, K. (2008) Strategic Brand Management. USA, New Jersey; Pearson, Prentice Hall
3. Mark, M. (2005) The Hero and the Outlaw- Building Extraordinary Brands through the Power of Archetypes. USA, NY; MCGRAW HILL

4. Peters, T. (2001) The Brand You 50. USA, NY; MCGRAW HILL
5. Ramos, V. Jaccard, James, D. Gonzalez, P. (2000) Unified Theory of Behavior. Upper Saddle River, New Jersey; Pearson, Prentice Hall

Leli Bibilashvili

Brand and strategy

Summary

The article examines the strategic directions and a brand strategy and communication concepts in the context of establishing a new brand of still water on the market.

Article discusses the current brand image, the reality of the situation and is focused on two main strategic directions.

It emphasizes the necessity of using special means of communication, in one case, the wide communication is discussed with relevant communication tools, while at the same time the peculiarities of the narrow direction of communication is enhanced and highlighted in the strategic planning and implementation process, where the involvement of opinion leaders and appropriate means of communication with them is put in a primary position.

Keywords: Brand, Brand identity, Functional and Emotional motives, Strategic directions, Message, Tactics , Indirect Sampling, Direct Communication

Reviewer: Maia Kavtarashvili, Professor at University of Georgia

Лели Бибилашвили

Бренд и стратегия

Резюме

В статье рассматриваются стратегические направления и коммуникационные концепции в контексте создания новой марки негазированной воды на рынке.

Статья обсуждает текущий имидж бренда, реальное положение и рассматривает две основные стратегические направления.

В нем подчеркивается необходимость использования специальных средств связи, в одном случае, широкая коммуникация обсуждается с соответствующими средствами коммуникации, и в то же время особенности узкой коммуникации подчеркивая важность лидеров общественного мнения во время создания нового бренда.

Ключевые слова: Бренд, Идентичность бренда, Функциональные и эмоциональные мотивы, Стратегические направления, Сообщение, Тактика, Косвенные выборки, Прямая коммуникация

Рецензент: Майя Кавтарашвили, Профессор Университета Грузии

პ რ ა ქ ტ ი პ ა

**სოფიაო აგულაძე
მთიანი როლი მოველდების საშინაობაში**

როგორ უნდა მოიქცეს შესყიდვების აგენტი, რომელსაც ერთ-ერთი მიმწოდებელი სთავაზობს ერთ კუთ კარგ ღვინოს. მიიღოს თუ არა ის აგენტმა? მუშაკს შეუძლია გამოიყენოს პირადად თავისთვის ის, რაც განკუთვნილია ორგანიზაციისთვის და წაიღოს შინ. გამოიყენოს თუ არა მან ეს შესაძლებლობა? ზოგიერთი მუშაკი ორგანიზაციიდან აწარმოებს საერთაშორისო სატელეფონო საუბრებს პირად საკითხებზე. სწორად იქცევა ის?

დალიან ბევრი ეთიკური დილექტის მაგალითის მოყვანა შეგვიძლია, რომელსაც თითოეული ადამიანი შეიძლება შეხვდეს სამუშაოზე. ამ მაგალითებში არ არის კანონის დარღვევა, მაგრამ შეიძლება შეფასდეს როგორც არასწორი. რაც შეეხება ადამიანთა არაეთიკურ ქმედებას კანონის აშკარა დარღვევით განეკუთვნებიან: დოკუმენტების ფალსიფიკაცია, სახსრების მითვისება, რასობრივი დისკრიმინაცია, ქრომი, გამოძალვა, ფირმის საიდუმლოებათა გაცემა და სხვა. გამოდის, რომ ერთი მხრივ, ეთიკა ეს წვენი ემოციებია, ხოლო მეორეს მხრივ – რაღაც რაციონალური წერბა. ამ სისტემის გაერთიანება კი არ შეგვიძლია. ამასთან, ნებისმიერი ეთიკური სისტემა დინამიკური კონსტრუქციია, რომელიც დირებულებების მუდმივ გადაფასებას ეფუძნება. ის, რაც გუშაგ ეთიკური იყო, ხვალ შესაძლოა უკვე ადარ იყოს ეთიკური. ნორმებზე დაფუძნებული ეთიკის შექმნის მცდელები ახლაც მიმდინარეობს, მაგრამ კაცობრიობის მთელი

გამოცდილება ადასტურებს, რომ ასეთი რაციონალური კონსტრუქცია ამჟარუსტებს საზოგადოების განვითარებას და ახლის დაბადებას ხელს უშლის.

ეთიკა წარმოადგენს მორალის ფასეულობათა ნაკრებს, რომელსაც ადამიანები იყენებენ ქცევის რეგულირების მიზნით. ადამიანები ხელმძღვანელობენ ეთიკის სხვადასხვა ნორმებით. ის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ორგანიზაციებმა შეიძლება სერიოზული იურიდიული და სოციალური სანქციები მიიღონ თანამშრომელთა არაეთიკური საქციელის გამო. ეთიკურ შეცდომას შესაძლებელია მოპყვეს მმიმე შედეგებიც, როგორც ორგანიზაციის ასევე თანამშრომელებისთვის.

